პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 კვირა 20 თებერვალი № 43 (16780) ფასი 2 კაპ. 1977

ᲓᲔᲓᲐᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲧᲠᲘᲜᲒᲔᲚᲘ ᲮᲘᲚᲓᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲓ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ — ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲐᲡ ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲒᲛᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ, — ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲥᲛᲐ.

სოციალისტურ შეჯიბრებას — ახალი გაქანება!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რესპუბლიკური პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, 1976 წელს უზრუნველყვეს საგეგმო დავალებათა და გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება. ამას ხელი შეუწყო სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივებში იშვა შეჯიბრების ახალი ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა გამოიჩინა ინიციატივა გააუმჯობესოს ეკონომიკური მაჩვენებლები სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების შედეგად. დადგენენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, რესპუბლიკის მოწინავე მუშები და შრომელთა კოლექტივები კისრულობენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებს, რათა უფრო სრულად გამოიყენონ წარმოების რეზერვები, თაოსნობანი და მოწინავე საწარმოო გამოცდილება. ასრულებენ რა დიდ სახელმწიფო მოვალეობას, სკკპ XXV ყრილობის დელეგატები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ბ. ვაშაკიძე, გ. კუტანინიძე, ნ. ლომიძე, ვ. მეუნარგია, საქართველოს კომპარტიის თბილისის ობკომის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნ. რიმბისოველი და სხვები მუშაობაში გვიჩვენებენ შემოქმედებითს, ინიციატივის შესანიშნავ ნიმუშს. მათი მაგალითისამებრ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს და მეათე ხუთწლედის ვადამდე შესრულებას კისრულობენ მშრომელთა ფართო მასები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, უწყებებს, სამინისტროებს, საწარმოებს, გაერთიანებებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხელმძღვანელებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა:

— განუხრელი შესრულებისათვის მიიღონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

— ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარართონ სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ გაჩაღებისათვის, ითა ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, თლიანად და დიდი გადაკრბებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის ახალრო-სამეურნეო გეგმის დავალებები ლოზუნგით „ვიმუშაოთ ეკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი!“.

დადგენილებით დაწესდა მოეწყოს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება და შეჯამდეს მეათე ხუთწლედის ყოველი წლისა და თლიანად ხუთწლედის შედეგები:

— აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და ამბრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, ახალრო მეურნეობის ყველა დარგის საწარმო-ორგანიზაციებისა — არმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით ესრულებისათვის;

— სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების კოლექტივებისა — მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობაში მისი შედეგების გაყენების დაჩქარებისათვის.

მეათე ხუთწლედის ყოველი წლისა და თლიანად ხუთწლედის ედეგების მიხედვით რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ბრაზეგებულთა დასაჯილდოებლად სულ დაწესდეს საქართველოს ომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 55 გარდამავალი წითელი დროშა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროსა და სხვა დარგებისათვის დიპლომებითა და ფულადი პრემიებით, აქედან:

— აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის — 1, ქალაქებისათვის — 5, ქ. თბილისის რაიონებისათვის — 3, რაიონებისათვის (მრეწველობის ხაზით) — 5 გარდამავალი წითელი დროშა;

— საწარმოების, საწარმოო გაერთიანებების, მშენებლობების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებისათვის — 41 გარდამავალი წითელი დროშა.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების — მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და. სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდგომი გადიდების და ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდეს 56 გარდამავალი წითელი დროშა დიპლომებით, აქედან:

— აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სახრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა;

— რაიონებისათვის — 10 გარდამავალი წითელი დროშა; გარდა ამისა, რაიონებისათვის (პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის) — 1, რაიონებისათვის (სანაწყვარალო და შუალედური კულტურების წარმოებისათვის) — 1 გარდამავალი წითელი დროშა; რაიონებისათვის (კარტოფილის წარმოება-დამზადების გადიდებისათვის) — 1 გარდამავალი წითელი დროშა; რაიონებისათვის (ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის) — 2 გარდამავალი წითელი დროშა;

— რაიონებისათვის: მეეფხაჯობაში — 2, მეცხოველეობაში —2, მეჭარხლეობაში — 1 გარდამავალი წითელი დროშა;

— კოლმეურნეობებისათვის — 15 გარდამავალი წითელი დროშა;

— საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის — 6, გარდა ამისა კოლმეურნეობებისათვის (პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის) — 2, საბჭოთა მეურნეობებისათვის (პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის) — 1; ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის: კოლმეურნეობებისათვის — 2, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის — 2; კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის: კოლმეურნეობებისათვის — 2, საბჭოთა მეურნეობებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა;

— „საკსოფლტექნიკის“, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, დამზადების სამინისტროს, სტატეკ მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციებისათვის დაწესდეს 4 გარდამავალი წითელი დროშა;

დამტკიცებულია სპბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამრეწველო დანიშნულებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობაში, მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში შეჯიბრების პირობები. დადგენილებით დაეკვალთ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს — გამოჰყოს ფულადი სახსრები ფასიანი საჩუქრების (მოტოციკლების, ფოტოაპარატების, ტრანზისტორული რადიომიმღებების, ტელევიზორების, მაცივრების, საათებისა და ა. შ.) შესაძენად, რომლებითაც დაჯილდოვდებიან მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში მიმდინარე შეჯიბრების გამარჯვებულნი;

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს — გამოჰყოს 1977 წელს 12 სატვირთო ავტომანქანა საკვებწარმოებაში მიმდინარე შეჯიბრების გამარჯვებული კოლექტივების წასახალისებლად;

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს — გამოჰყოს საბაზრო ფონდიდან კვარტალების მიხედვით 500 მსუბუქი ავტომანქანა და 500 ავეჯის გარნიტური, რომლებსაც ნაღდ ანგარიშზე რიგგარეშე შეიძენენ შეჯიბრების გამარჯვებულები;

საქართველოს ცეკავშირის გამგეობას — გამოჰყოს 390 მსუბუქი ავტომანქანა და 300 ავეჯის გარნიტური კვარტალების მიხედვით, რომლებსაც რიგგარეშე მიჰყიდიან მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში მიმდინარე შეჯიბრების გამარჯვებულებს;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სპპტიო დაფაზე გამოაკრას შეჯიბრების გამარჯვებულთა პორტრეტები შესაბამისი ორგანიზაციების წარდგინებით.

ცნობად არის მიღებული, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად დაუწესეს ვიმპელები, დიპლომები და ფასიანი სამახსოვრო საჩუქრები, რომლებითაც დაჯილდოვდებიან წამყვანი პროფესიების შეჯიბრების გამარჯვებული საუკეთესო ბრიგადები (უბნები), ფერმები, რგოლები, ბანყოფილებები.

მიღებულია წინადადებები:

საქართველოს პროფსაბჭოსი — რომ გამოიყოს ყოველწლიურად 2.500 შეღავათიანი ტურისტული საგზური საბჭოთა კავშირში და ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში სამოგზაურიოდ — რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა წასახალისებლად.

— საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა — რომ ყოველწლიურად მიენიჭოთ საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიები „კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივებისა და ახალგაზრდა წარმოების მუშაკებს, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲓᲘᲠᲗᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ — ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ

შრომითი თაოსნობის გამოძახილი

□

უთუოდ შეასრულოთ ყოველი თვის დავალება

□

საქართველოს მრეწველობის მშრომელები მხარს უჭერენ ქალაქ ქუთაისის და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ინიციატივას, რომ 1977 წლის თებერვლიდან არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო, რომ თვითეული კოლექტივი ყოველთვიურად გადაჭარბებით ახორციელებდეს საწარმოო გეგმებს, რომ ყოველთვიური დავალებების უთუო შესრულება ტრადიციად იქცეს.

ინიციატორთა მაგალითი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ყოველდღიური, ყოველდეკადური, ყოველთვიური გეგმების უთუო შესრულებისათვის ქუთაისის და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ინიციატივით გაშლილ შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველი ჩაება ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი.

— ჩვენს კოლეგიში ყოველთვიური გეგმების უთუო შესრულება ტრადიციად არის ქცეული, —თქვა ჩვენთან საუბარში საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. ზადიკაშვილმა, — ოგერ ორი წელია არც ერთი თვის გეგმა შეუსრულებელი არ დაგვრჩენია, თუმცა ორ ფრონტზე ვმომრთდით — საწარმოო გეგმების განაღდებისათვის ვიბრძოდით და ქარხნის რეკონსტრუქციასაც ვახორციელებდით.

შეჯიბრების წინა ხაზზე არიან ელექტროსამანქანე და სექციების შეკეთებელი საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ა. სოხაშვილი და ვ. წიკლაური ხელმძღვანელობენ.

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ყოველდღიურ, ყოველდეკადურ, ყოველთვიურ დავალებებს შეასრულებს ყველა ბრიგადა, ყველა საამქრო. — ასე გადაწყვიტა თბილისის № 1 ხტრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ქუთაისელ და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ინიციატივას გამოეხმაურა.

— წლეულ კოლექტივი დიდი ამოცანების წინაშე დგას, — თქვა ჩვენთან საუბარში საწარმოს მთავარმა ინჟინერმა თ. პატარიძემ, — თითქმის სანახევროდ უნდა გადავახალისოთ პროდუქციის ასორტიმენტი. 6 სახეობის ნაწარმი ხარისხის ნიშნით გამოვა, სულ კი ამ საპატიო დამღით ჩვენი 18 სახეობის პროდუქცია მზადდება.

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობა დაიხურა

19 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას განაგრძობდა საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობა. ყრილობის სხდომა დაიწყო საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ე. ე. კაპბას თავმჯდომარეობით.

გრძელდებოდა ქამათი საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის თ. ი. მოსაშვილისა და საქართველოს პროფსაბჭოს სარეგიზიო კომისიის თავმჯდომარის ვ. ს. ტრაპაიძის საანგარიშო მოხსენებათა გამო. ქამათში გამოვიდნენ: კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ე. კ. გოგიაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ა. ჭითანავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მ. ა. კვეზერელი-ეოკაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. გ. აბაშიძე, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ი. რ. ხვედელიანი, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ა. ციხკარიშვილი.

ყრილობას მიესალმა ქალაქ თბილისის პიონერებისა და ახალგაზრდობის დელეგაცია.

შესვენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. გ. ხაზარაძე.

განახლებულ კამათში გამოვიდნენ თბილისის № 123 საშუალო სკოლის პედაგოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ე. გ. ხურგულაძე, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ლაკაია, სოხუმის „სურსათვაჭრობის“ მაღაზიის გამყიდველი ა. გ. გუბაზი.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშის, სოციალისტური შრომის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. ა. ასათიანის მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმად დაამტკიცეს.

ყრილობაზე გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. თ. ბოგატიკოვი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა.

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობამ დამაკმაყოფილებლად (ნო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა.

ერთხმად დაამტკიცეს სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

აირჩიეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატები.

ყრილობის დელეგატებმა უღიდესი აღმავლობით მიიღეს მისალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ამით საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი

19 თებერვალს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია თ. ი. მოსაშვილი.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნებად არჩეული არიან ზ. ა. კვაპაძე, ლ. ხ. ხარბედია, ე. ე. კაპბა, ი. გ. ხაზარაძე, მდივნად საზოგადოებრივ საწყისებზე — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ბ. სარალიძე.

პლენუმმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად აირჩია ვ. ბ. ბაბრაძე, ა. ი. გოგიანიძე, ე. კ. გოგიაშვილი, დ. მ. იოსელიანი, ვ. ვ. კაკაძე, ე. ე. კაპბა, ზ. ა. კვაპაძე, ნ. ა. ლაკაია, ა. ა. ლომიძე, თ. ი. მოსაშვილი, ხ. ვ. ნიკიტენკო, ზ. ბ. სარალიძე, პ. ა. ჩიქვილაძე, გ. დ. ჭაბაია, ი. დ. ჭუმბურიძე, ი. გ. ხაზარაძე, ლ. ხ. ხარბედია.

შეიქმნა საქართველოს პროფსაბჭოს მუდმივი კომისიები: საწარმოო მახობრივ-ეკონომიკური მუშაობისა — თავმჯდომარე ტ. ბ. ჯაბაური, სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა — თავმჯდომარე რ. ნ. მანჯგალაძე, მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვისა — თავმჯდომარე გ. პ. ზუდგინიძე, კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობისა — თავმჯდომარე ე. ნ. გუბაშვილი, ახალგაზრდობას შორის მუშაობისა — თავმჯდომარე მ. შ. შენგელია, საბიუჯეტო — თავმჯდომარე ნ. ს. რედიუხინი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. თ. ბოგატიკოვი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი.

* * *

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომაზე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. ს. ტრაპაიძე.

(საქინფორმი).

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის ვრცელი, ნათელი ფოიეები და დარბაზები აივსენ მისმა ნამდვილმა ბატონ-პატრონებმა — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. ისინი აქ მოვიდნენ პირდაპირ საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობიდან, რომლის მუშაობაც გამსჭვალული იყო მშრომელი კაცისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის, კომუნიზმის გასამარჯვებელი ახალი შრომითი მიღწევებისათვის დაუცხრომელი ზრუნვით.

ბევრს უმშვენებს მკერდს სოციალისტური შრომის გმირის medლები, საბჭოთა კავშირის ორდენები და medლები, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა, კომუნისტური შრომის დაკვრელთა ნიშნები. მათს შრომითს გმირობას ასახავს ფოიეში წარმოდგენილი მხატვრული პანრები, ფოტოსურათები, დიაგრამები. მათს გარჯას, შემართებასა და მისწრაფებას მიეძღვნეს გამოსვლები რესპუბლიკის საუკეთესო მსახიობებმა, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა.

კონცერტის მთელი პროგრამა — ეს არის ჰიმნი, რომელიც უმღერის საბჭოთა ადამიანების ძალასა და მეგობრობას, დიდ ლენინს, რომელმაც ქვეყნიერების ხალხებს ნათელი მომავლის გზა უჩვენა.

პროფკავშირთა სასახლეს მოეფინა კომპოზიტორ შ. მილორავის „გამარჯვების სიმღერის“ დიდებული ჰანგები. იგი იმით ეძღვნება, ვინც თავისი გარჯით საშობლო ასახელა, ვინც ღირსეული წვლილი შეიტანა კომენისტურ მშენებლობას, ასე ფართოდ რომ არის გაჩაღებული ჩვენს ქვეყანაში.

საქართველო, მისი ავტონომიური რესპუბლიკები — აფხაზეთი და აჭარა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ამ საღამოს წარმოდგენილი იყვნენ ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებით, რომლებიც ადიდებს ხალხთა მეგობრობას და ძმობას, მათს ბედნიერ ცხოვრებას მოძმე ხალხთა ერთიან ოჯახად.

ყრილობის დელეგატები მჭეხარე ტაშით შეხვდნენ აფხაზური ხალხური სიმღერების შემსრულებლებს — სოხუმის მასწავლებლის სახლის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის „ლილეს“ წევრებს. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად აფხაზეთის დღეგრძელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის თვითმოქმედ მსახიობებს —„ოქროს ფარშევანგის“ საერთაშორისო პრემიის ლაურეატებს, რომლებმაც ჭაბუკური მგზნებარებით შეასრულეს აფხაზური ხალხური სიმღერა.

მზიური აჭარის სიმღერები, ამ მადლიანი მხარის მგზნებარე ცეკვები შეასრულეს სადღესასწაულო კონცერტზე ანსამბლმა „მაჭახელამ“ და გოგონების ვოკალურმა ჯგუფმა.

ამ საღამოს მაყურებელი მოხიბლეს ოსტატობით სოლისტებმა (სამხრეთ ოსეთი), რომლებმაც შეასრულეს ცეკვა „ოსური დუეტი“.

სომეხ, აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხს ოდითგან მოსდგამს ძმობა და სულიერი ნათესაობა. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხთა ამ საუკუნო მეგობრობას სულ სხვა ნათელი მოჰფინა და ახალი შინაარსი შესძინა დიდმა ოქტომბერმა.

სამი მოძმე ხალხის მეგობრობამ გამოხატულება ჰპოვა ამ კონცერტშიც: ისმოდა აშოტ გურარნისა და ოქტაი კიაზიმოვის სიმღერები. ეს სიმღერები ადიდებს ჩვენს დროს, ჩვენს დიად სამშობლოს.

ხალხური სიმღერები და ცეკვები შეცვალა კლასიკურმა ნაწარმოებებმა, რომლებიც ჩვეულებრივ ოსტატობითა და შთაგონებით შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ამირანაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ნ. ანდღულაძემ, თ. მუშკუდიანმა, ნ. ტუღუშმა, ი. დოლაბერიძემ და ვ. გუნაშვილმა.

კონცერტის წარმატება გაიზიარეს მისმა მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნ. ჩხეიძემ, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა მხატვარმა ვ. ასკურავამ, დირიჟორმა გ. აზმაიფარაშვილმა და სხვებმა.

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. თ. ბოგატიკოვი.

(საქინფორმი).

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲚᲐᲜ

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობა. სურათზე: დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ვეგეტკორის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ბართია, ხიდნაღის რაიონის ანაგის კოლმეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ნანობაშვილი, ბზიფის სამშენებლო კომბინატის ბრიგადირი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. გრიგოლია, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პ. ლაშხია, გალის რაიონის აჩიგვარის კოლმეურნეობის მექანიზატორი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ანთია.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

„სალუტ-5“: სამედიცინო გამოკვლევის დღე

ფრენის მართვის ცენტრი, ... თებერვალი. (საკდისი). გრძელდება „სალუტ-5“ ორბიტული სადგურის პილოტირებული ფრენა.

კოსმონავტებმა ვიქტორ გორბატკოსა და იური გლაზკოვის მოწვრი სამუშაო დღის პროგრამის ... ნაწილი დაეთმო სამედიცინო ექსპერიმენტებს. შესრულდა ... ფუნქციონალური ცდების ციკლი ... ეშვიდეში და კომპლექსურ ტრენაჟერზე დოზირებული ფიზიკური ... დატვირთვის დროს, რომელიც ... ეცვლა ამორტიზატორების სისტემას, ესანდერებს, მოძრავ ბიბეს. გამოიკვლიეს გულისა და ... სისხლძარღვების სისტემის მდგომარეობა ვაკუუმური ტევადობის ... ზომარებით გრავიტაციული ზეგავლენის იმიტაციის დროს. ... ედიციონო პარამეტრების რეგისტრაციისათვის გამოყენებული ... „პოლინომ-2მ“ მრავალფუნქციონალური აპარატურა, აგრეთვე ავტონომიური ხელსაწყო, რომელიც ზომავს ხუნთქვის სიხშირესა და სიღრმეს, ფილტვების საარსებო ტევადობას, ფილტვის ვენტილაციას.

გამოკვლევათა კომპლექსში შედიოდა აგრეთვე უწონობის პირობებში ელექტროგამოზიანებლებისადმი ვესტიბულარული აპარატის ზღურბლოვანი მგრძნობიარობის გამოკვლევის ექსპერიმენტი. მოეწყო ეკიპაჟის ორივე წევრის სხეულის მასის მორიგი გაზომვა.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. მეთაურის გულის შეკუმშვის სიხშირეა — წუთში 76, ბორტინჟინრისა — 66. ორივე კოსმონავტის არტერიული წნევაა ვერცხლისწყლის სვეტის 120X80 მილიმეტრი.

„სალუტ-5“ ხადგურში კვლევა გრძელდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ფინეთში მუშაკავალი ვიზიტის შესახებ

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კეკონენის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ფინეთის მეგობრულ ეწვევა ამა წლის მარტის მეორე ნახევარში.

(საკდონი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲫᲛᲝᲒᲘᲡ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲒᲚᲐᲓ!

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პროფკავშირთა კულტურის სასახლის ვრცელი, ნათელი ფოიეები და დარბაზები აივსენ მისმა ნამდვილ

სოციალისტურ შეჯიბრებას—ახალი გაქანება!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, რესპუბლიკურ პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

უწყება-სამინისტროებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, საწარმოების, გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების ხელმძღვანელებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ ყველა საამჩრის, უბანს, ბრიგადას, ფერმას, მუშასა და კოლმეურნეს გააცნონ მეათე ხუთწლედის სხვადასხვა წლისა და მთლიანად ხუთწლედის საგეგმო დავალებანი;

— ყოველნაირად გაუმჯობესონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პრაქტიკა, ყველაფერი ღონონ შრომითი მეტოქეობის მონაწილეთა მორალური და მატერიალური სტიმულირების შემდგომი სრულყოფისათვის.

შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას დაევალა ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა შეაჯამოს საკავშირო-საბჭოებში მიმდინარე შეჯიბრების შედეგები, ხოლო ყოველკვარტალურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის რიცხვისა — მშენებლობასა და მეცხოველეობაში მიმდინარე შეჯიბრებისა.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების redაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობიებს, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ გადაჭრით გაუმჯობესონ სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკის გაშუქება, შეჯიბრების ამსახველი ლიტერატურის, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა გამოშვება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო დაიხვეწოს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის თეორია და განზოგადდეს მისი პრაქტიკა, ამაღლდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სოციალისტური შეჯიბრების კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭოს მუშაობის ეფექტიანობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ხორცი შეასხან XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულებებს, წარმატებით — მთლიანად და გადაჭრებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებები, დამკვრელური შრომითი აღნიშნონ საიუბილეო 1977 წელი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის წელი.

პ ი რ ო ბ ე ბ ი

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა,

რომელშიც ჩაბმული არიან სამშენებლო-სამონტაჟო, სპეციალიზებული ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები, რომლებიც საშენი მასალითა და ნაწარმით უზრუნველყოფენ საბიანო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამრეწველო დანიშნულებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობას

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ჩაითვლებიან **სამშენებლო, სამონტაჟო, სპეციალიზებული ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების** დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი კოლექტივები, **რომლებიც** საანგარიშო კვარტალში, ნახევარ წელიწადში, 9 თვესა და წელიწადში ვადამდე **შესრულებენ** ობიექტებს **და** ასამოქმედებელი **კომპლექსების** საექსპლოატაციოდ **გადაცემის** გეგმას:

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები

1. ვადამდე შეასრულებენ მშენებლობის ასამოქმედებელი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის 3, 6, 9 და 12 თვის გეგმებს, ამასთან ჩაბარებენ მათ არანაკლებ „კარგი“ შეფასებით.

2. გადაჭარბებით შეასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებული ერთი მუშაკის გამომუშავების გეგმას, ამასთან უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების უპირატეს ზრდას ხელფასის ზრდასთან შედარებით.

3. ყველგან დანერგავენ ბრიგადული იჯარას.
4. მომეპირნეენ გამოიყენებენ საშენ მასალას.

მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის სამმართველოები

გადაჭარბებით შეასრულებენ ძირითადი სამშენებლო მანქანების გამომუშავების ნორმების დავალებს ნატურალური გამოხატულებით.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველოს კოლექტივები

1. ვადამდე შეასრულებენ საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების სამშენებლო-საპროექტო სამუშაოთა გეგმას თვითეული ობიექტის მიხედვით, ამასთან უზრუნველყოფენ სამუშაოთა კარგ ხარისხს.

2. გადაჭარბებით შეასრულებენ ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გამომუშავების გეგმას.

3. უზრუნველყოფენ ბრიგადული წესის მეთოდით მუშაობას ამ მეთოდზე გადასული გენსაიჯარო ორგანიზაციების ბრიგადებთან ერთად.

ენგურჰესის მშენებლობის სამმართველო

1. ვადამდე შეასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კვარტალურ გეგმას მზარდი შედეგით.

2. გადაჭარბებით შეასრულებენ გამომუშავების გეგმას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულ ერთ მუშაზე გაანგარიშებით.

3. მომჯერნედ მოიხმარენ საშენ მასალას.

საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის, მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა საწარმოები

1. ვადამდე შეასრულებენ გათვალისწინებული ნომენკლატურას სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების გეგმას სახელმწიფო სტანდარტის სრული შესაბამისობით.

2. ეფექტიანად გამოიყენებენ საწარმოო ფართობებს.

3. შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის ტემპის სწორი თანაფარდობის პირობებში.

4. შეასრულებენ ახალი ტექნიკისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის გეგმებს.

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი

1. წარადგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად (25 სიგელი) და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დიპლომით შესატანად (14 ადგილი).

2. წაახალისებენ: საცხოვრებელი ფართობით, რომელსაც მშენებლებს გამოუყოფენ 10-პროცენტიანი ფონდის ანგარიშში ინ ტრესტებისა და სამმართველოების განკარგულებაში, რომლებიც თავს გამოიჩენენ ობიექტების ვადამდე ჩაბარებით, — მსუბუქ ავტომანქანებითა და ავეჯის გარნიტურებით;

— ფულადი პრემიით ერთი თვის სარგოს ოდენობით მატერიალური წახალისების ფონდიდან, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმოო დავალების შესრულებისათვის (დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასული მშენებლობებისა და საწარმოებისათვის).

3. შეჯიბრების ყოველკვარტალური შედეგების შეჯამების მასალებს ამზადებენ რესპუბლიკის მშენებლობის, სასოფლო მშენეველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენი“ და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი არაუგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

პ ი რ ო ბ ე ბ ი

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-რეალიზაციაში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ყოველკვარტალური შეჯამებისა და მორალური და მატერიალური წახალისების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს სსრ ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების შესაბამისად რესპუბლიკაში განსაზღვრულია საკვები კულტურების წარმოების 7 ზონა (ზონებისა და ზონებისშიდა რაიონების ნუსხა თან ერთვის).

2. სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ჩაითვლებიან მეურნეობების, ბრიგადების კოლექტივები და ცალკეული მოწინავეები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ საანგარიშო პერიოდის ბრიგადის ან ფერმის სოციალისტური ვალდებულებათა შესრულებაში და უზრუნველყოფენ შემდეგ პირობებს:

ა) შეასრულებენ საკვების (საკუთარი წარმოების თივის, სენაჟის, სხვა უხეში საკვების, სილოსის, საკვები ძირხვენების, ბალახის ფხვნილისა და მარცვლეულის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის კომბინირებულ საკვებზე გადასაცვლელად საფურაჟე მარცვლეულის ჩაბარებადამზადების წლიურ გეგმას (მზარდი შედეგით);

ბ) სხვა თანაბარი მაჩვენებლების პირობებში სექტემბრამდე გამარჯვებული განისაზღვრება ... ბაზე, ხოლო სექტემბრიდან დეკემბრამდე — ... მიხედვით.

გ) უზრუნველყოფენ ბალახის ფხვნილის გამომმუშავებელი ... გატების საგეგმო მწარმოებლობას;

დ) შეასრულებენ სასენაჟე ტრანშეიების მშენებლობის გეგმებს და გამოიყენებენ მათ დანიშნულებისამებრ.

3. საკუთარი წარმოების ძიღებული საკვების გადაყვანა ხელუხლებელ საკვებმრთეულებად ერთ პირობით სულ პირუტყვზე გაანგარიშებით 1977 წლის გეგმის მიხედვით, ღორისა და ფრინველის სულადობის ჩაუთვლელად, რომელთა ულუფა ძირითადად შედგება ნაყიდი კომბინირებული საკვებისაგან.

საკვების ერთეულებად გადაყვანა წარმოებს შემდეგი კოეფიციენტების მიხედვით (საკვების ყუთიანობის შესაბამისად): თივა — 0,48, სენაჟი — 0,35, სხვა უხეში საკვები — 0,3, მზა სილოსი — 0,19, საკვები ძირხვენები — 0,12, სპეციალური კარტოფილი — 0,25, ბალახის ფხვნილი — 0,60, საფურაჟე მარცვლეული — 1,15.

ბუნებრივ სათიბებში საკვები ცენტნერობით იანგარიშება გ... ბული ფართობის 1 ჰექტარზე მოსავლიანობის მიხედვით.

4. სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური შედეგების მიხედ... ვით თვითეულ ზონაში განისაზღვრება და პრესაში გამოქვეყნდება გამარჯვებული რაიონი, ხოლო ბრიგადებისა და ცალკეული მოწინავეების წასახალისებლად დაწესებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპატიო დიპლომები და ფასიანი საჩუქრები:

ა) მაისის შედეგებისათვის ყოველ ზონაზე გამოყოფილია — ერთი მოტოციკლი და ერთი ფოტოაპარატი;

ბ) ივნისის შედეგებისათვის ყოველ ზონაზე გამოყოფილია — ერთი მაცივარი და ორი ტრანზისტორული რადიომიმღები;

გ) ივლისის შედეგებისათვის ყოველი ზონისათვის გამოყოფილია — ერთი მოტოციკლი და ორი საათი;

დ) აგვისტოს შედეგებისათვის ყოველ ზონისათვის გამოყოფილია — ერთი ტელევიზორი და ორი ფოტოაპარატი;

ე) სექტემბრის შედეგებისათვის ყოველი ზონისათვის გამოყოფილია — ერთი ტელევიზორი და ორი საათი;

ვ) ოქტომბრის შედეგებისათვის ყოველი ზონისათვის გამოყოფილია — ერთი მაცივარი და ორი ტრანზისტორული რადიომიმღები.

სულ გამოყოფილია 14 მოტოციკლი, 14 მაცივარი, 14 ტელევიზორი, 28 ფოტოაპარატი, 28 ტრანზისტორული რადიომიმღები, 28 საათი.

5. მაისი გამოცხადებულია სენაჟის და ძირითადად შუალედური საკვები კულტურების მწვანე მასის დამზადების დამკვრელური მუშაობის ერთთვიურად, ხოლო სექტემბერი — სილოსის დამზადებისა.

რაიონს, რომელიც 1 ივლისისათვის შეასრულებს სენაჟის დამზადების წლიურ გეგმას და ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილს დაიკავებს რესპუბლიკაში, რიგგარეშე მიეყიდება სამი ავტომობილი; მეორე ადგილზე გამოსულ რაიონს, — ორი, და მესამე ადგილზე გამოსულ რაიონს — ერთი ავტომანქანა.

რაიონს, რომელიც სექტემბერში შეასრულებს მზა სილოსის დამზადების წლიურ გეგმას და ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილს დაიკავებს რესპუბლიკაში, რიგგარეშე მიეყიდება სამი ავტომანქანა, მეორე ადგილზე გამოსულ რაიონს — ორი, და მესამე ადგილზე გამოსულს — ერთი სატვირთო ავტომანქანა.

6. ცეკავშირის გამგეობა გამოჰყოფს 130 ავეჯის გარნიტურს და 130 მუუბუქ ავტომანქანას, რომლებსაც რიგგარეშე მიჰყიდიან სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებსა და მოწინავეებს საკავშირო-საბჭოებში; მოწინავეებს წაახალისებენ 1977 წლის 1 ივლისისა და 1978 წლის 1 იანვრისათვის მიღწეული შედეგებისათვის.

7. ყოველთვიური შედეგების შესაჯამებლად მასალებს ამზადებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკავშირო-მოებების სამმართველო (ამხ. ნ. ანდრიაძე), სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის განყოფილება (ამხ. ა. ქემოკლიძე) და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი (ამხ. ა. იაკობიძე).

ცალკეული მოწინავეები — შეჯიბრების გამარჯვებულნი ჯილდოვდებიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპატიო სიგელებით და ამასთან გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები:

ა) I კვარტალის შედეგებისათვის ყოველ ზონაზე — ერთი მოტოციკლი და ორი ტრანზისტორული რადიომიმღები;

ბ) II კვარტალის შედეგებისათვის ყოველ ზონაზე — ერთი ტელევიზორი და ორი საათი;

გ) III კვარტალის შედეგებისათვის ყოველ ზონაზე — ერთი მაცივარი და ორი ფოტოაპარატი;

დ) IV კვარტალის შედეგებისათვის ყოველ ზონაზე — ერთი მოტოციკლი და ორი საათი.

სულ — 14 მოტოციკლი, 7 ტელევიზორი, 7 მაცივარი, 14 ფოტოაპარატი, 14 ტრანზისტორული რადიომიმღები და 28 საათი.

8. ყოველკვარტალური შედეგების შესაჯამებლად მასალებს ამზადებენ — მეცხოველეობის მთავარი სამმართველო (ამხ. გ. ყუფარაძე), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის განყოფილება (ამხ. ა. ქემოკლიძე) და სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი (ამხ. ა. იაკობიძე).

9. სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები და პროფკავშირის რაიონული კომიტეტები საჭირო მასალებს დაწესებული ფორმის მიხედვით წარუდგენენ არაუგვიანეს 10 აპრილისა, 10 ივლისისა, 10 ოქტომბრისა და 10 იანვრისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. (საქინფორმი).

ბამარჯვებიდან ბამარჯვებამდე

დედასამშობლოს დიდი ჯილდოს საპასუხოდ

სიტყვას ვაძლევთ გამარჯვებულ კოლექტივებს

ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხეს მისწვდა სახიხარულო ცნობა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საბჭოთა საქართველოს გარდამავალი წოლილი დროშით დაჯილდოების შესახებ. გამარჯვებულებად იქნენ ცნობილნი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წოლილი დროშებით დაჯილდოვდნენ საქართველოს მთელი რიგი ქალაქები, რაიონები, შრომითი კოლექტივები.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში სიტყვას ვაძლევთ გამარჯვებული შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს. ეს არიან მათი მხურვალე მადლობაც მაღალი ჯილდოსათვის და სიზეიმო დაპირებაც — ახალი მიღწევებით გაახარონ საყვარელი სამშობლო, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ახალი სახახელო საქმეებით შეეგებონ.

რაც ვიკისრეთ, შევასრულებთ

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების შესახებ ცნობას დიდი სიხარულით შეხვდა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივი. ეს წარმატება გზის მუშაკთა თვითეული წევრის თავდადებული შრომის შედეგია, რაც პირველ რიგში კარგად ორგანიზებულმა მასობრივმა შეჯიბრებამ და შესრულების ყოველდღიურმა კონტროლმა განაპირობა.

მეათე ხუთწლედის პირველი წლის დასაწყისში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების მიუხედავად, გზის მთელმა კოლექტივმა თავი გაართვა მის წინაშე დასახულ ამოცანებს, დაძლია ჩამორჩენა და პირველ წარმატებასაც მიადწია, მესამე კვარტალში უკვე გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ყველა მაჩვენებლით წარმატებით იქნა განაღდებული შარშანდელი საპეურნეო წლის გეგმა.

დღეს ჩვენი კოლექტივები ყველა ღონეს ხმარობენ არსებული, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების სრულად ასამოქმედებლად. ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მუშაობის სწორ ორგანიზაციას. ჩვენი შუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა ხომ ძირითადად სახალხო-სამეურნეო ტვირთბრუნვის გეგმების ვადამდე და დროულად შესრულებაში გამოიხატება.

ასევე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვას, საექსპლოატაციო მუშაობის სწორ ანალიზს. პერიოდულად ვატარებთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებების დროულ აღმოფხვრას, საექსპლოატაციო მუშაობის, ოპერატიულ დაგეგმვას, საწარმოო ერთეულებსა და ცვლებში გეგმების უთუო შესრულებას.

პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი შრომის ესოდენ დიდი შეფასება დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე გვაყენებს. მთელი ჩვენი კოლექტივი ხუთწლედის მეორე, საიუბილეო წლის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას, რომ ახალი სასახელო მაჩვენებლებით აღნიშნოს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი.

ლ. ვარდოსანიძე,
ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.

მხარი დავუჭიროთ თაოსნობას

ჩვენმა კოლექტივმა დიდი სიხარულით შეიტყო, რომ იგი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულია. შარშანდელი წელიწადი ტრესტის მრავალრიცხოვანი მშრომელებისათვის ნამდვილად დამკვრელური იყო. ობიექტებზე ფართოდ გაიშალა შეჯიბრება სამშენებლო ვადების შემცირებისა და მშენებლობის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის; წესესრი ვალდებულებები წარმატებით შესრულდა.

შარშან 7,2 მილიონი მანეთის ნაცვლად 10 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები შეგასრულეთ, საექსპლოატაციოდ გადავეცით 27 მნიშვნელოვანი ობიექტი, აქედან 26 „კარგი“ შეფასებით; 1975 წელთან შედარებით 9,3 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, 180 პროცენტი—მოგება.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 12.587 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 2.355 კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა, აგრეთვე 2.436 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დანიშნულების სხვადასხვა ობიექტები.

დღითიდღე დიდდება ტრესტის კოლექტივის სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა. ეს გასაგებიც არის. დღეს ჩვენი კოლექტივები მშენებლობებს დასავლეთ საქართველოს ხუთ ქალაქსა და რაიონში აწარმოებენ — ჭიათურაში, ზესტაფონში, საჩხერეში, თერჯოლასა და ორჯონიკიძეში. ამიტომ ჩვენი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება. ამ პასუხისმგებლობას ისიც აძლიერებს, რომ ჩვენს შრომას ესოდენ დიდ შეფასებას აძლევს პარტია და მთავრობა.

აღიარებ გადაწყვეტილ, რომ წლეულს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავზე დამკვრელურად ვიშრომოთ და ობიექტები უსწრებლივ მხოლოდ „კარგი“ შეფასებით ჩავაბაროთ. ამ ვალდებულების შესრულებას გაგვიადვილებს შეჯიბრება ყოველ სამშენებლო ობიექტზე პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. **ყოველდღიური, ყოველდეკადური, ყოველთვიური, ყოველკვარტალური გეგმების უთუო შესრულება ტრადიციად უნდა ვაქციოთ...**

ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის საპატიო წოდება.

გ. ჟურციკაძე,
ჭიათურმარგანშენის № 8 ტრესტის მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

საახალო შრომითი მაჩვენებლებით დაიწყო მეათე ხუთწლედის მეორე საიუბილეო წელი ამიერკავკასიის ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი რკინიგზის კოლექტივმა, რომელიც ფართოდ გამოეხმაურა რა ქუთაისელ და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა ინიციატივას, გადაწყვიტა ყოველი დღე დამკვრელური შრომით აღნიშნოს.

ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე რკინიგზელებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და გადაწყვიტეს ვადაზე ადრე, გადაჭარბებით გაანაღდონ სახალხო მეურნეობის ტვირთბრუნვის საიუბილეო წლის დავალებები.

სურათზე: თბილისი — სატვირთოს მოწინავე ვაგონის შემდგენელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ფოცხვერაშვილი (მარცხნივ) და საღგურის მთავარი ინჟინერი ა. მკრტჩიანი.

ახალ მიჯნებს ავიღებთ

1976 წლის მაჩვენებლებით ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა. ამას ბეჯითი შრომით მივაღწიეთ.

ჩაი კოლმეურნეობისათვის ძირითადი კულტურაა. შარშან 1.137 ტონის ნაცვლად მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 1.743,4 ტონა, აქედან პირველი ხარისხის იყო 87,4 პროცენტი, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 10 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. წინა წელთან შედარებით წარმოებულია 1.641 ცენტნერით მეტი სიმინდი, საშუალოდ ჰექტარზე — 12,2 ცენტნერით მეტი.

მოწეულებია მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში. თვითეულ ხაფურაჟე ძროხაზე მიღებულია 3.616 კილოგრამი რძე. დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსთვის ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის დავალებები. მარტო მეცხოველეობიდან კოლმეურნეობას 27.500 მანეთი მოგება აქვს.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი ზრუნვის პასუხად ახალსოფლელმა მშრომელებმა პირობა დადეს წლეულს შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 100 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 38 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 24 ცენტნერისა, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე — 3.800 კილოგრამი რძე. ერთიანად გაადიდონ აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

პირობის შესასრულებლად თებერვლის ხელსაყრელ ამინდებს კარგად ვიყენებთ. ჩაის პლანტაციებში სწრაფი ტემპით, ხარისხიანად მიმდინარეობს მწკრივთა შორის ნიადაგის მომზადება, სასუქების შეტანა. მექანიზატორები საგაზაფხულო კულტურების დასათესად ამზადებენ ნიადაგს, გვაქვს ყველა სახის მაღალხარისხოვანი თესლი.

როგორც ყოველ წელს, წლეულსაც სიტყვას საქმედ ვაქცევთ.

შ. კაკაჩია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე.

ოჩხამურელთა მადლობა

ჩვენს ქვეყანაში არ მეგულება ოჯახი, სადაც ქართულ ჩაის არ მიირთმევდნენ. ამ სურნელოვან, ხალისის მომგვრელ სასმელს ადამიანთა უმრავლესობა ყოველდღიურად სიამოვნებით სვამს. და ვინ იცის ჩვენებურ, ოჩხამურულ ჩაის სადღა არ სვამენ! ეს ჩვენ კარგად ვიცით და ვცდილობთ, რომ ჩვენს მიერ მოკრეფილი ნედლეულისგან სანაქებო ჩაი დაიყენონ.

ნათქვამია, თუ ჩაის ნედლეული მაღალხარისხოვანია, პროდუქციაც საუკეთესო იქნებაო. შარშან ჩვენმა მეჩაიეებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მოკრეფილი ნედლეულის უმეტესი ნაწილი პირველი ხარისხისა ყოფილიყო. არც ციფრობრივი მაჩვენებლები გვაქვს ურიგო, ჩაის ფოთლის დამზადების გეგმას 700 ტონით გადავამეტეთ, სახელმწიფოს მივყიდეთ 4.623 ტონა „მწვანე ოქრო“. ჰექტარზე 9.783 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მივიღეთ. ეფიქრობთ, საქართველოში ასეთი მაჩვენებელი ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობას არ ექნება.

გუშინ სასიხარულო ცნობა მივიღეთ, ჩვენი მეურნეობა საკავშირო გარდამავალი წოლილი დროშით დაჯილდოდა. ამ სასიხარულო ცნობამ მეურნეობის მთელი კოლექტივი მადლობის გრძნობით აღავსო და შრომის ხალისი შემატა. ჩვენი ვალდებულებანი წლეულს სახელმწიფოს ნაცვლად 3.800 ტონისა, 4.650 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლი მივყიდით. ჰექტარზე 9.800 კილოგრამ ნედლეულს მოვკრეფთ.

პლანტაციებში დათბა, დიდი ჯილდოთი აღფრთოვანებული ჩვენი მეჩაიეები ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ, ენერგიულად შრომობენ, რომ ხუთწლედის მეორე წელს უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ.

თ. ცეცხლაძე,
ქობულეთის რაიონის, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

მეცხოველეთა სიტყვა და საქმე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე მეცხოველეობის აღმავლობის დიდი პროგრამა მიიღეთ. მაშინ ჩვენ პარტიისა და სამშობლოს პირობა მივეცით, რომ საქართველოს მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაქცევაში საპატიო წვლილს შევიტანდით. არც თუ ისე დიდი დრო გავიდა და ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ერთგვარი წარმატებისა ვის მიგვეღწია. შარშან ყოველ 100 ძროხაზე 100 ხბო მივიღეთ, ყოველ 100 ნესტაზე — 96 ბატკანი. ნაცვლად 15.300 სულისა ... ლა 16.300 სული ცხვარი გვყავს.

არც მეძროხეობაში გვაქვს ურიგოდ საქმე. შარშან 915 ცენტნერის ნაცვლად 1.41... ცენტნერი ხორცი მივყიდეთ სახელმწიფოს, რძე — ნაცვლად 990 ცენტნერისა — 1.36... ცენტნერი. თვითეულ ძროხაზე წინა წელთან შედარებით 35 კილოგრამით მეტი რძე მივიღეთ. გარდა ამისა, ყოველგვარი ვალდებულებები შარშან გადამეტებით შევასრულეთ, რისთვისაც საკავშირო გარდამავალი წოლილი დროშა დავიმსახურეთ.

მადლობა მშობლიურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას ჩვენი შრომის დაფასებისათვის.

ხუთწლედის მეორე წელს უფრო უკეთ მაჩვენებლებს მივაღწევთ. ყოველ 100 ნესტაზე 97 ბატკანს, ხოლო ყოველ 100 ძროხაზე 100 ხბოს მივიღებთ. შარშანდელთან შედარებით წლეულს მნიშვნელოვანი გეგმა დამეტებით შევასრულებთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებსა და ვალდებულებებს. ჩვენი პარტია ყოველგვარი დავალება 1 ნოემბრისათვის შევასრულოთ.

ი. ბაშარული,
ლენინგორის რაიონის უკანაშორის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე.

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობაზე არჩეული

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წევრები

აბიბოვა ზ. ი.	გოძიაშვილი დ. ვ.	კოროიანი რ. ე.	ქრისტესიაშვილი კ. ი.
ავსაჯანიშვილი ე. გ.	გუგუშვილი ე. ნ.	კუპრაძე რ. ა.	ღოღობერიძე ვ. ო.
ალადაშვილი ც. გ.	გურგენიძე ნ. ვ.	ლაკია ნ. ა.	უიფიანი ვ. ვ.
ალექსანდრია ნ. გ.	გურული კ. კ.	ლანდია ნ. ა.	უურშუბაძე ნ. ვ.
ახვერდოვა ვ. ე.	ელიოსხიანე გ. ე.	ლომიძე ა. ა.	შაბლეულაია რ. თ.
ბაკურაძე დ. ი.	ემნაძე ვ. რ.	მარტიროსოვი ვ. გ.	შავიშვილი კ. ნ.
ბარბაქაძე ლ. ვ.	ვადოვი ი. ე.	მახარობლიშვილი ა. ნ.	შარტავა შ. ე.
ბაქრაძე ვ. გ.	ვადაეკორია ვ. ი.	მეგრელიშვილი ვ. ა.	შევარდნაძე ი. ა.
ბასტაძე გ. ი.	ვასაძე ნ. შ.	მექვეურიშვილი ვ. ი.	ჩიქვილაძე პ. ა.
ბეღია ი. გ.	ვაშაძე ნ. ვ.	მინდელი გ. ვ.	ჩიხლაძე რ. ნ.
ბელელური ც. ვ.	ვორონკოვა ს. ვ.	მოსაშვილი თ. ი.	ცხოვრებაშვილი გ. გ.
ბიგვავა ქ. თ.	ვოუბა ა. ვ.	ნიკიტენკო ს. ვ.	წერეთელი თ. ვ.
ბაბილაშვილი ვ. ა.	ზედგინიძე გ. პ.	პერტენავა დ. ა.	წიკლაური ნ. ბ.
ბოკურავა ვ. გ.	თედიაშვილი ვ. ნ.	პეტრიაშვილი ნ. ა.	ჭანიძე გ. ი.
ბოკორიძე ი. ი.	ილაშვილი მ. ზ.	პოლოლიკაშვილი გ. დ.	ჭაკია გ. დ.
ბუღგულაშვილი გ. ა.	ილურიძე ნ. ი.	უვანია ნ. ა.	ჭელიძე ვ. ი.
ბურდული ი. ე.	ოსელიანი დ. ვ.	ფორეოლაძე გ. ი.	ჭელიძე ნ. პ.
ბუჯიევა ნ. გ.	კავაძე ვ. ვ.	რატიანი ვ. ა.	ჭილაძე თ. ი.
გაზაევი კ. ა.	კაკაბაძე-ღუდუშაური ვ. პ.	რამნისოთაელი გ. ი.	ჭითანავა ა. ე.
გარდაფხაძე კ. კ.	კაკაშვილი ი. დ.	რუბაშვილი ნ. დ.	ჭოლოკავა დ. თ.
გელაშვილი გ. თ.	კალანდაძე ვ. შ.	სარალიძე ზ. გ.	ჭუმბურიძე ი. დ.
გელაშვილი ი. დ.	კაპანაძე ი. შ.	სვანიშვილი მ. ბ.	ხაბეიშვილი ხ. ე.
გელაშვილი ნ. ვ.	კაპანელი რ. კ.	სობოლევი ვ. ა.	ხაზარაძე ი. გ.
გვერდწითელი ი. გ.	კაპბა ე. ე.	სხილაძე რ. გ.	ხარბედია ლ. ს.
გიგოშვილი ი. შ.	კარგარეთელი კ. ი.	ტვილდიანი კ. ნ.	ხორბალაძე ე. გ.
გობიანიძე ა. ი.	კეთილაძე ა. ე.	ტუბეზრავა ლ. ტ.	ხოშტარია ს. ს.
გოგიაშვილი ე. კ.	კვარაცხელია დ. შ.	უმანკოშვილი გ. ს.	ჯაბური ტ. გ.
გოგილიძე უ. გ.	კვაჭაძე ზ. ა.	ურმაშვილი ნ. ი.	ჯავახიშვილი ი. გ.
გოგოძე ვ. კ.	კობახიძე ი. ა.	ფრიდონიშვილი თ. ს.	ჯაფარიძე რ. ა.
გოთუა თ. პ.	კობახიძე მ. ნ.	ქადეიშვილი გ. ა.	ჯოხთაბერიძე გ. ა.
		ქებულაძე დ. გ.	

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წევრობის კანდიდატები

ანწოიძე ხ. პ.	იაკობიძე ა. დ.	მიქაბერიძე დ. ს.	ტუსკაძე ე. რ.
ბარტაზოვი ა. ა.	კანდელაკი ნ. ა.	ოსიაშვილი ე. ა.	ღლონთლიშვილი ე. ზ.
ახალკაცი ა. ა.	კვეზერელი-კოპაძე მ. ა.	რედიფინნი ნ. ს.	შატბერაშვილი ფ. გ.
ბარბაქაძე შ. კ.	კიკნაძე გ. ზ.	სილაგაძე ლ. ს.	შენგელია მ. შ.
ბრეგვაძე ნ. გ.	კოპალეიშვილი ნ. ი.	სიკინჭილაშვილი ზ. გ.	შიოლაშვილი ნ. ა.
ბუთბა რ. მ.	ლაბუანია შ. კ.	სოგბერეთი ბ. ა.	ჩიხლაძე ვ. ა.
გიგაური ლ. ნ.	ლობჟანიძე მ. ა.	სოლომონია ე. ბ.	წოვნოვაძე თ. ე.
გამყრელიშვილი ლ. ზ.	მაზმიშვილი ნ. ნ.	სტეფანაძე გ. კ.	ჭალაგანიძე ნ. გ.
გუცაევა მ. ი.	მანჯგალაძე რ. ნ.	ხურგულაძე ე. გ.	ხარაიშვილი ც. ი.
ვარდოსანიძე გ. ბ.	მეძმარიაშვილი ე. ვ.	ტაბიძე ა. ა.	ხუჯაძე ე. ე.
		ტომბულოვა ა. ა.	

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საარევიზიო კომისიის წევრები

ალავიძე პ. ი.	მაისურაძე თ. გ.	რაზმაძე ჯ. ს.	ჩოგოვაძე ლ. ი.
ვაჩეინილაძე შ. პ.	მამულაშვილი ა. მ.	ხარჯვილაძე გ. ა.	წოწოლაშვილი ი. გ.
ანნოვაზკი დ. მ.	მანველიშვილი მ. გ.	ხურმავა მ. ვ.	ჯაში მ. ი.
ავანდელაკი ა. ვ.	მანჯგალაძე ბ. დ.	ხობოლევა ა. ს.	ჯიჯიშვილი დ. ი.
ავაცოტაძე ა. მ.	მურსუნიძე ლ. შ.	ტრაპაიძე ვ. ს.	ჯიშუბაძე ს. გ.
ლუხავა ნ. მ.	პუდოვა ს. ი.	ჩერქეზიშვილი ნ. გ.	ჯმუხაძე ს. გ.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის დელეგატები

ანჯაფარიძე ზ. ი.	გერმისაშვილი ც. ნ.	მოხაშვილი თ. ი.	ჩალაძე დ. ბ.
ასათიანი ვ. ა.	ემნაძე ვ. რ.	რუდი ვ. ნ.	ჩერქეზიშვილი ნ. გ.
ასანიძე ვ. ბ.	ილურიძე კ. დ.	რუხაძე მ. გ.	ჭაკია გ. დ.
ახობა ლ. გ.	კალანდაძე ვ. შ.	სარალიძე ზ. გ.	ჭელიძე ვ. ი.
ბაკურიძე დ. ი.	ქარამიანი ლ. ა.	სვანიშვილი მ. ბ.	ჭილაძე თ. ი.
ბიგვავა ქ. ტ.	კვაჭაძე ზ. ა.	ქადეიშვილი გ. ა.	ხაბეიშვილი ხ. ე.
ბლიაძე ო. ი.	კუპრაძე რ. ა.	ქემაშვილი ვ. ბ.	ხარაძე ე. კ.
ბოკორიშვილი ხ. მ.	კონცელიძე რ. პ.	ღოღობერიძე მ. ო.	ხაზარაძე ი. გ.
ბურდული ი. ე.	მამადაშვილი ხ. ა.	ყურშუბაძე ნ. მ.	ხატიაშვილი ჯ. გ.
გაზაევი კ. ა.	მამედოვა ნ. ო.	შარტავა შ. ე.	ხოგკაევა ზ. დ.
გელოვანი მ. ა.	მენთეშაშვილი თ. ნ.	შევარდნაძე ე. ა.	

ბეჭდითად აკრძალულ ასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს
პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის ყოველმხრივ მზადებას, პარტიტყვის ორგანიზებულ გამოზამთრებას მიეძღვნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრებას დაესწრნენ ტრესტების, გაერთიანებების, სამინისტროს საქმრთველოს ხელმძღვანელები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები, სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოთა უფროსები, მეცნიერები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, მინისტრები.

კრება გახსნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნ. ჭითანავამ.

მოისმინეს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის გ. ყიფიანის მოხსენება.

კრებაზე გამოვიდნენ აჭარის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ანანიძე, აფხაზეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ს. სააკიანი, ბასარეთის რაიონის სოფელ ხოვლეს სოფლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ბიბეკაშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსავი მ. თედორაძე, ბაღდათის რაიონის სოფელს სოფლმეურნეობის სამმართველოს უფროსი მ. ალელიშვილი, „საქსტროგმრეწვის“ გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ოსელიანი, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი გ. ზაუტაშვილი, აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მმართველის მოადგილე ვ. ხონელიძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ა. მესხიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ.

კრებაზე ობიექტურად, საქმიანად შეფასდა მიღწევები, რომლებთაც გასული წელი დამთავრეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. ამასთანავე მოხსენებასა და გამოსვლებში მოყვანილი იყო ამ მთელი რიგი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, თვით მთელი რაიონების ჩამორჩენის ფაქტები და მაგალითები, რომელებიც დაბალი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, ჭიანურდება თესვა და მოსავლის აღება, ცუდად არის მოწყობილი შრომა, რაციონალურად არ იყენებენ ტექნიკას, მინერალურ სასუქებს, ტექნიკას, მიწებს.

აქტივის კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა სოფლის ყველა მშრომელისადმი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი, რომელიც მოუწოდებენ სანიმუშოდ მოემზადონ და მოაწყონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, წარმატებით გამოიზამთრონ პირუტყვი, შეასრულონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული ვალდებულებანი.

თათბირს დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი. (საქინფორმი).

19 თებერვალი

„პრავდის“ ფურცლებზე

დღითიდღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. სწორედ ამ მიზნს ემსახურება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა — მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

ამასთან დაკავშირებით „პრავდა“ აქვეყნებს მასალებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გამართული მიტინგების შესახებ საერთო სათაურით **„შაბათობის შესახვედრად“.**

წარმოების მართვის სტრუქტურულ სრულყოფას, სპეციალიზაციას, მეურნეობისადმი გაძღოლის პროგრესული ფორმების დანერგვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. ამ საკითხებს ეძღვნება წერილი **„ბრძანების შემდეგ“,** რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით **„მართვა: მეცნიერება და პრაქტიკა“.**

ამ ციტატ ხნის წინათ გაზეთმა მოწოდებით მიმართა მკითხველებს, რომ „პრავდის“ ფურცლებზე შემჩნეულიყო კოლექტიური მატიანე „ოქტომბერი ჩვენს ცხოვრებაში“.

ამ მოწოდებას უკვე ბევრი მკითხველი გამოეხმაურა. მათს წერილებში არის მოგონებები გმირულ წარსულზე, ამაღლებული საუბარი დღევანდელობაზე, შრომის მოწინავე ადამიანებზე.

„კინომოთხრობის პრემიერა“ — ასე ჰქვია „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტის **გ. ლებანიძის** კორესპონდენციას. **„სიცოცხლის არხის“** — **როგორც კახეთში მშენებარე ალაზნის ხიდწყავ სისტემას უწოდებენ — მშენებლებს მიუძღვნეს თავიანთი მხატვრული ფილმი რეჟისორმა გ. შენგელაიამ და ხელნარიხტმა რ. ინანიშვილმა.**

ამ დღეებში ამ კინომოთხრობის — „ქვიშანი დარჩებიანო“ — გადაღება დამთავრდა. კახეთის რაიონულ ცენტრებში — გურჯაანში, ახმეტაში, თელავში, იქ, სადაც არხის ტრასა გადის, გაიმართა ფილმის პრემიერა, პირველი მაყურებლები არხის მშენებლები იყვნენ“, — წერს ავტორი.

გაზეთის ფურცლებზე წარმოდგენილია აგრეთვე მრავალფეროვანი საკავშირო, უცხოეთის და სპორტული ინფორმაცია.

„PRAVDA“

19 თებერვალი

მსოფლიოს ამბები

ფაქტები, პრობლემები

სხვათა საქმეებში ჩარევა შეუწყნარებელია

ვაშინგტონი. (საკადესი). 17 თებერვალს სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი ეწვია სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელს ა. ჰარგმანს და მისი უურადღებაზე მიაპყრო ამერიკის მხრივ ზოგიერთ განცხადებასა და მოქმედებას, რომლებიც არ ეთანხმება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პოზიტიური განვითარების მიზნებს. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა: საბჭოთა მხარე ვერ შეურიგდება იმის ცდებს, რომ „ადამიანის უფლებათა დაცვის“ მოჩმახული საბაბით ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში, საკითხებში, რომლებიც სახელმწიფოთა საშინაო კომპეტენციას შეადგენს.

საბჭოთა მხარეს ბევრი რამ აქვს სათქმელი — თანაც სრულიად საფუძვლიანად — შეერთებულ შტატებში ადამიანის ძირითად უფლებათა უზრუნველყოფის საქმის მდგომარეობის შესახებ, მხედველობაში აქვს რა მილიონობით ადამიანის უმუშევრობა, რასობრივი დისკრიმინაცია, ქალების არათანასწორუფლებიანობა, მოქალაქეთა პირადი თავისუფლებების შელახვა, დამნაშავეობის ზრდა და სხვ. მაგრამ აშკარაა, რომ მეორე მხრისათვის საკუთარ შეხედულებათა თავს მოხვევა, ამგვარი საკითხებისათვის სახელმწიფოთა ურთიერთობის მნიშვნელობის მინიჭება მხოლოდ ართულებენ და აძნელებენ იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც ნამდვილად შეიძლება იყოს და კიდეც უნდა იყოს ორი ქვეყნის ურთიერთმოქმედებისა და თანამშრომლობის საგანი.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიანი თანაარსებობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა ორივე ხალხის ინტერესებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება განვითარდეს ნაყოფიერად, როცა ეურადღება სუვერენიტეტისა და სამინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების ურთიერთპატივისცემას, როგორც ეს ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ფუძემდებელ დოკუმენტებში.

პრეზიდენტის გადაწყვეტილება

„ამერიკული ცხოვრების წესი“ შედეგი

ვაშინგტონი. (საკადესი). **თეორმა სახლმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეიქმნა მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის კომისია.** კომისიას დაევალა გააანალიზოს ეს პრობლემა და პრეზიდენტს მოუმზადოს მოხსენება რეკომენდაციებითურთ ამერიკელთა ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების წესების შესახებ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის, უფრო სწორად, დაავადების პრობლემამ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჭეშმარტად კატასტროფული მასშტაბი შეიძინა. თვითრი სახლის მონაცემებით, 12 მილიონ ამერიკელს — ქვეყნის მოსახლეობის 10 პროცენტს — ფსიქიატრიული დახმარება სჭირდება. კიდევ 6 მილიონი კაცი „გონებრივად ჩამორჩენილთა“ რიცხვს განეკუთვნება.

შარშან 27 ათასმა ამერიკელმა თავი მოიკლა. განსაკუთრებით სწრაფფლებიანობა, მოქალაქეთა პირადი თავისუფლებების შელახვა, დამნაშავეობის ზრდა და სხვ. მაგრამ აშკარაა, რომ მეორე მხრისათვის საკუთარ შეხედულებათა თავს მოხვევა, ამგვარი საკითხებისათვის სახელმწიფოთა ურთიერთობის მნიშვნელობის მინიჭება მხოლოდ ართულებენ და აძნელებენ იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც ნამდვილად შეიძლება იყოს და კიდეც უნდა იყოს ორი ქვეყნის ურთიერთმოქმედებისა და თანამშრომლობის საგანი.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიანი თანაარსებობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა ორივე ხალხის ინტერესებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება განვითარდეს ნაყოფიერად, როცა ეურადღება სუვერენიტეტისა და სამინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების ურთიერთპატივისცემას, როგორც ეს ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ფუძემდებელ დოკუმენტებში.

იუგოსლავიის საწინააღმდეგო პროვოკაციები

ქვეყნიდან გააძევეს სამი დასავლეთგერმანელი ტურისტი

ბელგრადი. (საკადესი). **იუგოსლავიის ხელისუფლებამ მიიღეს გადაწყვეტილება სამი დასავლეთგერმანელი ტურისტის ქვეყნიდან გაძევების შესახებ.** ისინი ინასოვთის გააძევეს, რომ ერეოდნენ ამ ქვეყნის საშინაო საქმეებსა და პოლიტიკურ საქმიანობაში, რაც არ შეესაბამება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებულ შეთანხმებას. როცა საქმის შინაარსი განმარტა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო სამდივნოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მ. კალეზიჩმა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე თქვა, რომ ეს ტურისტები სრულიადაც არ ისახავდნენ ტურისტულ მიზნებს. ისინი ცდილობდნენ იუგოსლავიის ხელისუფლებისთვის გადაეცათ „პეტიცია“, რომელშიც მოითხოვენ ვინმე მ. მიხაილოვის განთავისუფლებას. თავის დროზე იგი დაუპატიმრეს პროპაგანდისათვის, რომელიც ჩიჩქს სცხებდა იუგოსლავიის შრომელთა სოციალისტურ მონაპოვრებს. მტკიცე უარის პასუხად მათ მოიწვიეს „პრეს-კონფერენცია“, დაისწრეს დასავლელი კორესპონდენტები, რომლებმაც იუგოსლავიის საწინააღმდეგო აუზაური ატეხეს თავიანთ გაზეთებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული ტურისტები შეხვდნენ მ. ჯილასს, რომელიც წინათ გასამართლებული იყო იუგოსლავიის საწინააღმდეგო საქმიანობისთვის.

იუგოსლავური გაზეთები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული სამი ტურისტის შემოხვევას სოციალისტური იუგოსლავიის წინააღმდეგ დასავლეთის რეაქციული წრეების პროვოკაციას უწოდებენ.

გამოუტანეს განაჩენი

პრაღა. (საკადესი). **პრაღაში უზენაესმა სახალხო სასამართლომ განიხილა გამოუტანა სამ ჩეხოსლოვაკიელ მოქალაქეს, რომლებსაც ბრალად ედებათ სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება.**

წინათ ნასამართლევი იერეი გ. 1967 წლიდან 1976 წლამდე საზღვარგარეთ გადასცემდა სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის დოდმნიშვნელოვან ინფორმაციას, კერძოდ ცნობებს ჯარის ნაწილების დისლოკაციისა და აღორძინების მოწყობილობის შესახებ. მას 15 წლის პატიმრობა მეესაჯა. დასჯილია აგრეთვე ორი მისი თანამზრახველი. სამივე ბრალდებულმა აღიარა დანაშაულებრივი საქმიანობა.

კარიკატურისტის კომენტარი

ნილელი ფაშისტები ხმას აგრცელებენ პოლიტპატიმრების განთავისუფლების შესახებ. სინამდვილეში კი ათასობით ნილელი პატრიოტი პინოჩეტის საპყრობილეებში იტანჯება (გაზეთიდან).

სპეკტაკლის დასაწყისი.

გ. ლომეიკის ნახატი.

სიტყვის დიდოსტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაიას დაბადების მე-80 წლისთავის გამო

ისმას ძახილი სიმნელეში:

— სატურაშია, სატურაშია, სადაც ახალმა ცხოვრებამ დაიდო ბინა“.

დემნა შენგელაია უფრო სატვის ოსტატია, ვიდრე ხორობის, მოყოლის. მისი ოსტატობა ენობრივი ქსოვილის ნახატნი ვლინდება ნათლად და არა სიუჟეტის გამომჟღავნებლობაში. დ. შენგელაიას პროზაში ისეთი დიდი შინაგანი ენერგია აქვს მინიჭებული ფრაზას, სიტყვას, რომ კლასიკური სიუჟეტების თვალსაზრისით საჭიროება მოყოლისა თითქოს აუცილებელი არ ხდება. სიუჟეტური ლაკონიზმი და ვრცელი ენობრივი მონახაზი ქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, რომელიც პოეტური სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატებისათვის არის დამახასიათებელი.

დ. შენგელაიას წერის სტიქია მცირე ფორმის ნაწარმოებებში ვლინდება ყველაზე უფრო სრულყოფილად. საბჭოთა თემატიკაზე შექმნილ მცირე ფორმის ნაწარმოებთა შორის პირველი ნოველა, რომლითაც დ. შენგელაიამ სახელი გაითქვა, არის „კაც“. ძველი ყოფისა და ფსიქოლოგიის, რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასებისა და ყოფის განდეგნა ჩვენი ცხოვრებიდან და ამ ნიადაგზე წ�ფორმდგარი ტრაგედია ყოფილი კაცისა შესანიშნავად არის გამოსახული ამ ნოველაში.

ნოველის გმირი ანდრია რაშაძე პროვინციაში დიდად მიღებული და გავლენიანი კაცი იყო; მენშევიკები ბოლის ბოლოს, ბოლო ერის 1918 წელს გამოქვეყნებული „თბილისის აჩრდილები“ ახალგაზრდა ავტორს უკვე უმკვიდრებენ ნიჭიერი პროზაიკოსის სახელს. და მაინც მან, როგორც ქართული პროზის ოსტატმა თავიანი ნიჭი მთელი ძალით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოავლინა.

პირველი ნაწარმოები, რომლითაც დ. შენგელაიამ ოსტატის სახელი მოიპოვა, „სანავარდოა“, ამავე დროს იგი პირველი საბჭოთა რომანია.

„სანავარდო“ თავად ჭილაძეების, ამ უძველესი გვარის უკანასკნელი მოპიკანის, თავად ყარამან ჭილაძის ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს, მაგრამ მასში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია ძველი, თავადაზნაურული საქართველოს ნგრევის ისტორია, მისი ფიზიკური და სულიერი გადაშენების ამბავი. გადაშენების ამ ისტორიას მწერალი ოსტატურად უკავშირებს კოლხეთის ჭაობიანი უმეურებისა და ციების სვდიან სურათებს. „წვიმები, წვიმები, წვიმები, ამდორებული ციონი ზარმაცად მიდუდუნებდა, ხანდახან ამოვარდებოდა ქარი და დაეცემოდა უზარმაზარი დასველებული ფრინველივან მხარმტეხილ ფრთასავით სასლის ყავარზე ხმაურით დაათრევდა ფრთას და კვნესოდა მომაკვდავივით. ქარი ზუზუნებდა, ბუსრის თავზე შემჯდარი გაყინული ჭინკა გამზრალ თითებზე სულს იბერავდა და კნაოდა საცოდავად. ღამის ლანდები სულს აიდგამდნენ და დაიწყებდნენ ოთახში ბორგვას და ტორტმანს. მწუხარება იყო ყველგან და დუმილი. ჭაობი, ჭიჭყო, ლელი და ლაქაში. პატარა, დამპალი მდინარის ლოღობა ნაპირები სტეპინთა და ფშანით დაბურული, კალათიანი ქალები ეკალს საკრეფად შეფენილი, ჩამონგრეული ღობეები, დამპალი წყლით სავსე თხრილებიდან... სანავარდო კვდებოდა ციებ-ცხელებით. გაჭრილ საფლავებში წყალი ამოდიოდა, არ იყო ხსნა, არ იყო გამოსავალი“. ასეთია ეს გარესამყარო, ავსულებისა და ლანდების, მოჩვენებებისა და ქალეფინაციების შიშის მომგვრელი სურათები და ეპიზოდები.

დ. შენგელაიამ კარგად დაინახა, რომ ყარამანების „ნაშიერთა ნამდვარი სისხლის მოდგმას“, უმეურების, ჭინკების, მითების ქვეყანას და მასთან მიჯაჭვულ ძველ ცხოვრებას აღსასრული დაუდგა. მოვა ახალი დრო და ისტორიის სანაგვეში გადაისროლ ყველა ამ უვარგისსა და დრამოჭამულს. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს რომანის ბოლო სტრიქონები: „ელვამ გაირბინა ხალხის თვალებში. სადაც გაისმა ჯერ არგაგონილი წვიალი: გამოჩნდა პირველი მატარებელი, მიფრინავს იგი ტყეებში, ღრეებში, მიჰკვეხს, ღრიალით არღვევს ქვეყნის მყუდროებას, მოფრინავს, მოაქვს ახალი ცხოვრება, მოაყავს ახალი ხალხი. ჭინკები სოროებში მიძვრებიან, ქაჯები მუხებისა და წიფლის დაღრეჩინულ ღრუებში იმალებიან, უმეური, უმეური, იკრიხება ნარიონალის ჭაობებში, თვალდაკუსული გარინდებული ბაყაყები გაოცებით გაბარულან წყლის ლიქიბოზე. მატარებლის გრიალი ოდნავ მიაკარდა სადღაც სატვრიას სადგურთან, ამოვრიდან სამტრედია რომ ჰქვია სახელად.

ღამეა. წვიმა თვალებში აშხაპუნებს.

ასმას ძახილი სიმნელეში:

— სატურაშია, სატურაშია, სადაც ახალმა ცხოვრებამ დაიდო ბინა“.

დემნა შენგელაია უფრო სატვის ოსტატია, ვიდრე ხორობის, მოყოლის. მისი ოსტატობა ენობრივი ქსოვილის ნახატნი ვლინდება ნათლად და არა სიუჟეტის გამომჟღავნებლობაში. დ. შენგელაიას პროზაში ისეთი დიდი შინაგანი ენერგია აქვს მინიჭებული ფრაზას, სიტყვას, რომ კლასიკური სიუჟეტების თვალსაზრისით საჭიროება მოყოლისა თითქოს აუცილებელი არ ხდება. სიუჟეტური ლაკონიზმი და ვრცელი ენობრივი მონახაზი ქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, რომელიც პოეტური სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატებისათვის არის დამახასიათებელი.

დ. შენგელაიას წერის სტიქია მცირე ფორმის ნაწარმოებებში ვლინდება ყველაზე უფრო სრულყოფილად. საბჭოთა თემატიკაზე შექმნილ მცირე ფორმის ნაწარმოებთა შორის პირველი ნოველა, რომლითაც დ. შენგელაიამ სახელი გაითქვა, არის „კაც“. ძველი ყოფისა და ფსიქოლოგიის, რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასებისა და ყოფის განდეგნა ჩვენი ცხოვრებიდან და ამ ნიადაგზე წარმოდგარი ტრაგედია ყოფილი კაცისა შესანიშნავად არის გამოსახული ამ ნოველაში.

ნოველის გმირი ანდრია რაშაძე პროვინციაში დიდად მიღებული და გავლენიანი კაცი იყო; მენშევიკების დროს გაერთიანებული ფეოდმმართველობის ყოფილი თავმჯდომარე — ფრთებგაშლილი ცხოვრობდა, დიდკაცურ ნიბიერი ბრაბონდა თავპატიჟის მიჩვეული. წინათ მასთან სათხოვნელად მისული გლეხები დღეობით უცდიდნენ და მის ნახვას იშვიათად ახერხებდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდკაცობის ტახტიდან ჩამოაბრძანა მენშევიკების თაკარცები და მათი წარმომადგენელი ამ პროვინციაში ანდრია რაშაძე. ახლა იგი რევოლუციამ გარიყა ცხოვრების მორევიდან და სადღაც კუთხეში მიაგდო. ეს ნაკაცარი არავის სჭირდება და, მათ შორის, არც ხალკუთარ მეუფლეს. ასე გააშიშვლა მწერალმა ნაკაცარის ფიზიკური და სულიერი სიკვდილი და მთელი სისრულით გამოსახა რევოლუციის მიერ განიარაღებული ნაკაცარების ტრაგედია, ამავე დროს, ძლიერება და უპირატესობა რევოლუციური საქართველოსი. ამ თვალსაზრისით ეს ნოველა მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელშიც ნათლად ჩანს მწერლის ტენდენცია, დაკავშირებული ახალ დროსთან, ახალ ცხოვრებასთან.

თემატურად დ. შენგელაიას მცირე ფორმის მოთხრობები მრავალფეროვანია. აქ ჩვენ ენახავთ ნოველებს, მინიატურებს, მოთხრობებს, რომელთა თემა სამოქალაქო ომი, საკოლმეურნეო მშენებლობის წლები, ჩვენი ხალხის დიდი ისტორიული წარსული კონკრეტული მოვლენები, მრისხანე სამშვილო ომის ეპიზოდები.

შვიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქართველ მწერალს ისე მრავალფეროვნად და საინტერესოდ არ გამოუხატავს სამოქალაქო ომის სურათები, როგორც ეს დ. შენგელაიას აქვს წარმოდგენილი მცირე ფორმის მოთხრობებში („ბურამ ბარამანდიან“, „თბილეფალი“, „პატარა ქალი“).

ყოველ ეშმარიტ მწერალს აქვს ერთი ნაწარმოები, რომელიც ყველაზე ტიპიურად გამოხატავს ავტორის მხატვრულ ინტერესსა და მიდრეკილებას, მისი წერის მანერას. ასეთია კერძოდ, დემნა შენგელაიას შემოქმედებაში რომანი „ბათა ქალია“, ეს მეტად საინტერესო მოვლენა იყო 30-იანი წლების ქართულ მწერლობაში. რომანი პირველი პირით მოგვითხრობდა ქართველი გლეხის ბათა ქალიას თავგადასავალს. ამ გმირის სულიერ სამყაროს, მის ინტერესებს, მის დამოკიდებულებას ცხოვრებასთან, გარესამყაროსთან მწერალი ტიპიურად და განზოგადებულად გვიხატავს. ამ გზაზე ავტორს სრულიად ბუნებრივად სჭირდებოდა გამოეხატა ის საზოგადოებრივი ფონი, რომლის მოწმე და მონაწილე ეს გლეხი იყო.

ნაწარმოებში თითქმის მთელი ხალუნელია მხატვრის თვალით გაცოცხლებული და წარმოდგენილი. რომანი ბატონყმობის სცენებით იწყება და ჩვენი დროის ცხოვრების სურათებსაც სწვდება. ამ საუკუნოვანი ისტორიის ფურცლებზე უფრო გამოკვეთილია ორი დიდი საზოგადოებრივი ხანა, — ეს არის ბატონყმობის ხანა და 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიანი დღეების ბოლქარი და მდელვარე ფურცლები.

რომანში საქართველოს რთული ხასზოგადოებრივი, სოციალური ცხოვრება საინტერესოდ და მღელვარედ არის გამოსახული. და მაინც მწერალს უმთავრესი ფერები და საღებავები, დრო და ენერგია გამოყენებული აქვს რომანის მთავარი გმირის სულიერი ცხოვრებისა და სამყაროს გამოსახატავად. ნაწარმო

ექსპონატები მოგვითხრობს

თბილისში გაიხსნა ჩვენს ქვეყანაში პირველი შრომითი დიდების ამსახველი მუზეუმი.

გუშინწინ საქართველოს პროფსაბჭოს ინიციატივით თბილისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ჩვენს ქვეყანაში პირველი შრომითი დიდების ამსახველი მუზეუმი. ახლადშექმნილი მუზეუმის მიზანია რესპუბლიკის მშრომელებს გააცნოს გასული საუკუნის სამოცდაათ წლებიდან დღემდე ჩვენი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მიერ განვლილი სასახელო შრომითი ისტორიული გზა.

მუზეუმის პირველი დამთვალიერებელნი დიდი ინტერესით გაეცნენ ექსპოზიციას, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ორ დიდ დარბაზშია წარმოდგენილი. იგი მოიცავს პერიოდს 1864 წლიდან— საქართველოში ბატონყმობის გაუქმებიდან — დიდი სამამულო ომის დაწყებამდე.

პირველი განყოფილება დათმობილი აქვს რევოლუციამდელ პერიოდს. აქ წარმოდგენილი როგორც ნივთიერი, ისე დოკუმენტური მასალები თვალნათლივ მოგვითხრობს, თუ როგორ ყალიბდებოდა მუშათა კლასი, რა მძიმე პირობებში უხდებოდა შრომა, როგორი იყო მისი საყოფაცხოვრებო პირობები, რა თავდადებით იბრძოდა სოციალური და ეროვნული ჩაგრის წინააღმდეგ. აქვე ფართო ადგილი აქვს დათმობილი რევოლუციამდელი ქართული სოფლის ცხოვრების ამსახველ მასალებს. დიაგრამებისა და ცხრილების საშუალებით დამთვალიერებლებს საშუალება ეძლევათ ნათელი წარმოდგენა იქონიონ ჩვენში სამრეწველო კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარებაზე.

საბჭოთა საზოგადოების ისტორიის განყოფილება იწყება ლენინისადმი გაგზავნილი ს. ორჯონიკიძის ცნობილი დეპეშით. აქვე წარმოდგენილ საქართველოს რევკომის პირველ დეკრეტებში, წერილობითსა და ფოტოდოკუმენტებში თვალნათლივ ჩანს ახალგაზრა საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა საბჭოთა ადამიანისადმი.

მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მდიდარი რევოლუციური ტრადიციების მქონე თბილისის ორთქლმავალგაგნშემკეთებელი ქარხნის მუშების კოლექტიური წერილი ვ. ი. ლენინისადმი, რკინიგზის ბიღის აღსაზრდელთა ფოტოსურათი წარწერით „საყვარელ ძია ლენინს". დაცულ დოკუმენტებში ასახულია შრომის გმირის წოდების მინიჭების დებულება, პროფკავშირთა წარდგენება, აქვეა ფოტოსურათები პირველი შრომის გმირის ა. მოდრეკილაძისა და სიონაღის მაზრის ყოფილი მკვიდრის, ღარიბი გლეხი ქალის ეთერ მაზანაშვილისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნოკატორი მუშა გახდა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო. აქვეა ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი დიდების გზის ამსახველი დოკუმენტური მასალები. მნახველთა თვალწინ ფოტოდოკუმენტებში ცოცხლდება საქართველოში პირველი რკინიგზის გაყვანის ისტორია. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენს რესპუბლიკაში პირველი კომუნისტური შაბათობის ამსახველ ფოტომასალებს, ერთ-ერთ მთავანზე აღბეჭდილია ი. ბ. სტალინი ზაჰესის მშენებლებთან, სხვა სურათზე კ. ეორშილოვი, საკავშირო მთავრობის უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს, რომლითაც დაჯილდოვდა ჩვენი რესპუბლიკა, გადასცემს ფ. მახარაძეს (1936 წელი).

საგამოფენო ექსპოზიცია მთავრდება ფ. ენგელსის სიტყვებით: „შრომა ყოველგვარი სიმდიდრის წყაროა". და მართლაც მუზეუმის დამთვალიერებელნი კიდევ ერთხელ თვალნათლივ რწმუნდებიან ამ სიტყვების ცხოველყოფილობაში, სიტყვებისა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა.

თ. კინწურაშვილი.

• • •

სურათებზე: თელაველი თვითნასწავლი მხატვრის ელენე ლუხატაშვილის მიერ მუზეუმისათვის საჩუქრად გადაცემული ვ. ი. ლენინის სურათი; საგამოფენო დარბაზში.

ხ. კილაძის ფოტო.

ტექნიკური აზრის კერა

ჩიტაძის ქუჩა № 6 — ასეთია ტექნიკისა და მეცნიერების საკოორდინაციო ცენტრის — თბილისის ტექნიკის სახლის მისამართი, რომლის საზეიმო გახსნაც 17 თებერვალს გაიმართა. ჩვენი დედაქალაქის ტექნიკური აზრის მუშაკებმა საუკეთესო საჩუქარი მიიღეს.

თბილისის ტექნიკის სახლის მიზნებსა და ამოცანებზე გვესაუბრება სახლის დირექტორი **ე. ხვიჩია:**

— თბილისის ტექნიკის სახლი საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური ორგანიზაციების მუშაობის ძირითადი დასაყრდენია. ჩვენი საქმიანობის მიზანია დახმარება გავუწიოთ სახალხო მეურნეობის დარგებს ყოველივე ახლის, პროგრესულის სწრაფად დანერგვაში. შემუშავებული გვაქვს თემატური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფართო პროპაგანდასა და წარმოებაში დანერგვას.

ტექნიკის სახლში გაიმართება კონფერენციები, თათბირები, სემინარები, მოეწყობა მოწინავე გამოცდილების კურსები, კონსულტაციები, თემატური გამოფენები.

ამჟამად ჩვენს სახლში გახსნილია რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოთა პროდუქციის საუკეთესო ნიმუშების გამოფენა, რომელშიც 60-ზე მეტმა საწარმომ მიიღო მონაწილეობა.

ტექნიკის სახლის საზეიმო გახსნაზე შეიკრიბნენ დედაქალაქის საწარმოთა კოლექტივების მოწინავე მუშები, ინჟინრები, რაციონალიზატორები, გამომგონებლები, ნოვატორები, მეცნიერები. ისინი ინტერესით ათვალიერებდნენ თბილისის საწარმოთა ახალ პროდუქციას. ბევრმა აქ მნიშვნელოვანი სიახლე ნახა და უკვე საქმიანი საუბარი გაიმართა.

თბილისის ტექნიკის სახლი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. საზარაძემ. სახლის როლსა და დანიშნულებაზე ილაპარაკა საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ მ. ლობჟანიძემ, მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პროფესორმა დ. ბულეიშვილმა, ხარატმა გ. სუხინმა, რესპუბლიკაში პირველი — ბათუმის ტექნიკის სახლის დირექტორმა ლ. ხარაზმა, ქუთაისის ტექნიკის სახლის დირექტორმა გ. ცხადაძემ, ერევნის ტექნიკის სახლის დირექტორმა მ. პეტროსიანმა და სხვებმა.

დასასრულ ნაჩვენები იქნა ტექნიკის სიახლეთა ამსახველი სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმები.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: ტექნიკის სახლის გამოფენის ერთი კუთხე;

ა. ვაჩიანის ფოტო.

ესტონელები ტაშს გვიკრავენ

ტალინი, (საქინფორმის სპეც. კორ. გ. მურღულია). გუშინ აქ, სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში თბილისის სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის მსახიობებმა თავიანთი უკანასკნელი წარმოდგენა აჩვენეს. ამჯერად ესტონელი მაყურებელი გაეცნო ს. მრეველიშვილის დოკუმენტურ დრამას — „ლადო კეცხოველს", რომლის პრემიერაც სულ ცოტა ხნის წინათ ნახეს თბილისელებმა. დარბაზი, ისევე როგორც წინა დღეებში, ხალხით იყო გაჭედილი. ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) ესტონელებს ძალზე შეუყვარდათ მეტეხის თეატრი. გასტროლების უკანასკნელ დღეს სტუმართმოყვარე მასპინძლების პატარა დარბაზმა ვეღარ დაიტია სპექტაკლის ნახვის ყველა მსურველი. გამოსათხოვარი წარმოდგენის დაწყების წინ თეატრ-სტუდიის დირექტორმა გ. კანდელაკმა თეატრის ყველა თანამშრომლის სახელით მადლობა მოახსენა მასპინძლებს გასტროლების კარგი ორგანიზაციისათვის, ესაუბრა მათ „ლადო კეცხოველის" მთავარი გმირის შესახებ. შემდეგ დაიწყო სპექტაკლი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. ამ გამოსათხოვარი საღამოს დასასრულს გამართულმა ოვაციამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მეტეხის თეატრი ნამდვილად შეუყვარდათ ესტონეთში. ქართველ მსახიობთა ახალგაზრდა კოლექტივი გასტროლების წარმატებით მოწყობისათვის ესტონეთის ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა სიგელით დაჯილდოვა.

ახლა თეატრის კოლექტივს ორი ახალი შეხვედრა მოელოდა — ჯერ ტარტუში, მერე კი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

□

ყველაფერზე

რასისტის ფიქრები

ჩვენი მთავარი მიზანი? — — გაიმეორა იუნიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტის კორეესპონდენტის კითხვა ფრანკ კოლინმა, და დაუფიქრებლად უპასუხა — ვაიძულოთ ყველა ფერადკანიანი, რომ წაეთრიონ იქ, საიდანაც მოვიდნენ. დაე წავიდნენ აფრიკაში, აზიაში, ახლო აღმოსავლეთში...

ამერიკის „თეთრკანიანთა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის" მეთაური ჟურნალისტს თავის რეზიდენციაში — ჩიკაგოს უესტერნავენიუზე შეხვდა.

— წერეთ ჩვენს შესახებ მხოლოდ სიმართლე, — ამბობდა კოლინი. — ჩვენი აზრით, ამერიკაში რასობრივი ომის ჟამი დადგა. დაე ადამიანებმა დახოცონ ერთმანეთი, დაე ცვიოდეს ბომბები ჩვენი ქალაქების ქუჩებში. ეს უმჯობესია, ვიდრე ეგრეთწოდებული „რასობრივი მშვიდობა".

მოკლე ინტერვიუს შემდეგ ფრენკ კოლინმა ნება დართო გადაეღოთ მისთვის ფოტოსურათი — ამერიკის დროშის ქვეშ და „მაინ კამპფით" ხელში.

რა არ ხდება!

როგორც დპა-ს საგენტო ოუწყება, ბოლო ორ წელწადში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყიდა 300 ათასი ცალი წიგნი, რომელსაც ჰქვია „არაფერი". ერთ-ერთ „მხატვრულ" ნაწარმოებში არც ერთი სტრიქონი არ არის — 192-ვე ფურცელი სუფთაა. პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში ავტორმა განაცხადა, რომ „წიგნი" მან შექმნა თავის იდეის გამოსახატავად — „არაფერი მაქვს სათქმელი".

თოვლი გაგამის კუნძულებზე!?..

ბაგამის კუნძულების მცხოვრებები მიჩვეული არიან ბუნების ჭირვეულობას. მაგრამ ასეთი ქარიშხალი, როგორც იანვრის ბოლოს იყო, არავის ახსოვს, მან ბევრი ნაგებობა დაანგრია, ოკეანეს ასობით მებადურის ნავი გაიტაცა. როცა ქარიშხალი ჩადგა და ხალხი თავშესაფრიდან გამოვიდა, შეამჩნიეს, რომ მიწა რაღაცით თეთრად იყო გადაპენტილი. ადამიანები თვალს არ უჯერებდნენ: თოვლი ბაგამის კუნძულებზე? შეუძლებელია. რამდენიმე საათის შემდეგ კი უკვე აღარავის აკვირვებდა ბავშვების გუნდაობა. „მრავალი წლის სტატისტიკა, — განაცხადა ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა, — საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩვენს არქივებში თოვლი პირველად მოვიდა".

ეს საინტერესოა

13 წლის სტუდენტი

მას დავით არუთინიანი ჰქვია. ბავშვობაში იგი არაფრით არ განსხვავდებოდა თანატოლებისაგან. მისი არაჩვეულებრივი ნიჭი ჯამოვლინდა საშუალო სკოლაში, პირველი კლასიდანვე ათწლიანი პროგრამა ფიზიკასა და მათემატიკაში მან 5 წელიწადში აითვისა, ასწრებდა სხვა საგნებშიც. ახლა დავით არუთინიანი 13 წლისაა და ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნიკური კიბერნეტიკის ფაკულტეტზე სწავლობს. პროფესორები არავითარ შეფასებას არ აძლევენ ნორჩი სტუდენტის ასაკს.

მეხსიერების გაძლერებული ვარჯიში და ლოგიკური ანალიზის სრულყოფა ხელს არ უშლის დავით არუთინიანს გარკვეული დრო დაუთმოს საერთო განვითარებასაც. როგორც მის ასაკს შეეფერება, დავითი გატაცებულია სათავგადასავლო ლიტერატურით, მუსიკით და სტუდენტურ თეატრშიც კი მონაწილეობს. (ასს).

ცხელი დღეები გაკურიანში

დღეს გაიმართება მოთხილამურე ჟურნალისტთა XXIII საერთაშორისო შეხვედრის პირველი სტარტები

დიდი გამოცოცხლებაა ახლა საქართველოს ზამთრის დედაქალაქ ბაკურიანში. მის ქუჩებში, ტრასებზე, სპორტულ ბაზებზე — ყველგან ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, გერმანულ, უნგრულ, პოლონურ და კიდევ ვინ მოთვლის რამდენ ენაზე მოუბართ შეხვდებით. 25 ქვეყნის 200-მდე ჟურნალისტი ჩამოვიდა აქ სათხილამურო სპორტში თავიანთ ტრადიციულ რიგით XXIII საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

...სასტუმრო „ბაკურიანის" წინ გუშინ დილით თავი მოიყარეს შეჯიბრების მონაწილეებმა, ოფიციალურმა პირებმა, სტუმრებმა, სპორტის მოყვარულებმა და ცხადია, არამოთხილამურე ჟურნალისტებმა.

გაისმა შეჯიბრების ტრადიციული პიმნის ჰანგები. ბორჯომის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ **ს. ლომიძემ** სიტყვა მისცა სათხილამურო სპორტში ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის — სკიჟ-ის პრეზიდენტს, ჟურნალისტ **რენე ლანჟელს,** რომელიც უკვე რამდენიმე დღეა მეოლითურთ იმყოფება ბაკურიანში.

შეჯიბრების მონაწილეთ გულთბილად მიესალმა ჟურნალისტთა შეხვედრის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზიანი,** რომელმაც XXIII საერთაშორისო შეხვედრა გახსნილად გამოაცხადა. სკიჟ-ის პიმნის მელოდიამ მოიცვა არემარე — ბაკურიანის ცაში აღიმართა ჟურნალისტთა ასპარეზობის დრომა. იგი ლოზანიდან (შვეიცარია) ჩამოიტანეს. დროშას აწერია ყველა იმ ქალაქის, დაწყებული მიონიბელიდან (საფრანგეთი 1945 წ.). სახელწოდება, სადაც მანამდე გაიმართა ეს საინტერესო შეჯიბრება. აქვეა მოთავსებული სკიჟ-ის ემბლემაც — მხიარული მოთხილამურე იხვი.

რეპრეზენტანტებიდან ბაკურიანის ამ ასპარეზობისათვის სპეციალურად დაწერილი მელოდია აყარეს საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრის შესრულებით (დირიჟორი ს. კორკოტაშვილი). ამ მელოდიის ავტორია კომპოზიტორი გ. ცაბაძე.

საღამოს გაიმართა გუნდების კაპიტნების შეხვედრა. განიხილეს სპორტული პროგრამა, რას შემდეგ შედგა მონაწილეთა წილისყრა.

დაახლოებით 170 ჟურნალისტი გამოვა პროგრამის სამივე სახეობაში, აქედან თერთმეტი საბჭოთა კავშირიდან. აი ისინიც: ახალი ამბების საგენტოს პოლიტიკური მიმომხილველი ვ. ლომეიკო (გუნდის კაპიტანი), ჟურნალ „ტექნიკა-მოლოდიოუის" რედაქტორი ვ. ზახარჩენკო, ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის" თანამშრომელი ვ. პრეობრაჟენსკი, „იზვესტიის" პოლიტიკური მიმომხილველი ა. რიეანკოვი, „იზვესტიის" კორესპონდენტი ვ. ბიკოვი, გაზეთ „ტრუდის" საერთაშორისო განყოფილების გამგე რ. კოლჩანოვი, ხ. კობო (ჟურნალი „ლატინსკაია ამერიკა"), ი. ცენინი (გამომცემლობა „პროგრესი"), აგრეთვე ორი ქალი—ნატალია ტურუნდევსკაია (გამომცემლობა „ლენინიზდატი") და ირინე მატვეიჩუკი (სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი), ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ლირსებას დაიცავს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, თეატრმცოდნე ნ. გურაბანიძე.

— ნოდარი მრავალმხრივი სპორტსმენია. მას პირველი თანრიგები აქვს ტანვარჯიშსა და ცურვაში — გვეუბნება საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი, რომელმაც ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი საბჭოთა კავშირის ნაკრების წვრთნაზე მიგვიპატიჟა კოხტაგორაზე.

გუშინ შუადღისას ბაკურიანში მზიანი დარი იდგა, თერმომეტრი 18 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

— თქვენი ბაკურიანი მართლაც მზიური ველი ყოფილა. უთოვლობით ცოტა არ იყოს გაკვირვებული და გულნატკენი გვეუბნებოდნენ უცხოელი ჟურნალისტები. დღის მეორე ნახევარში ცამ უბრალო შეიკრა და წამოთოვა კიდეც...

დღეს დილიდან მსაჯები მოთხილამურე ჟურნალისტთა პირველ სტარტს მისცემენ **გივანტური ხლალომის** ტრასაზე.

ო. ნოზაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი, ბაკურიანი, ტელეფონით.

ჩვენი კინოფესტივალი



დაუპატიჟებელი სტუმრები

ამ კინოალმანახის პირველი კინონოველა „ჩირიკი და ჩიკოტელა" — გ. ლეონიძის მოთხრობის მიხედვით არის შექმნილი.

...ჩირიკი და ჩიკოტელა შეზობლები არიან. სიღარიბესთან ერთად, მამებისგან მემკვიდრეობად მიწის პატარა ნაკვეთიც ერგოთ. ჩირიკი ცოტა იუმორით უყურებს ცხოვრებას. მუდამ მხიარულსა და კეთილს ნაკლებად ადარდებს სიღარიბე. ჩიკოტელა კი... გაჭირვებას იქამდე მიუყვანია, რომ სულ ჩირიკს უნდა გადაბრალოს, რაც კი რამ ხელს უშლის ცხოვრებაში. გაუთავებელი დავა მეზობლებში. ისინი თითქმის დანახისხლად გადაკიდებიან ერთმანეთს. მაგრამ ჩირიკისა და ჩიკოტელას ქალ-ვაჟის სიყვარული ყველაფერს ასხვაფერებს.

სცენარი ფილმისთვის მწერალ რეზო ინანიშვილს ეკუთვნის. დამდგმელი რეჟისორები ლევან და რამაზ ხოგვრები, ოპერატორი რევაზ ნამგალაშვილი, მხატვარი რევაზ მირზაშვილი, კომპოზიტორი ბიძინა კვირნაძე. როლებში: ბადრი ბეგალიშვილი, ჯემალ ღაღანიძე, ნინო დოლიძე, ჩელა ჭონაშვილი, მარინე თბილელი და სხვანი.

თადარიგის პოლკოვნიკი

ოვის მძიმე წლებითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული კორნეი პოლუნინი ქარხანაში სამუშაოდ მოვიდა და ბაბუკების ბრიგადის ხელმძღვანელობა იდო თავს...

მთელი გულით შეიყვარეს ბიჭებმა უფროსი მეგობარი, ბრიგადირი.

ფილმს ორმაგი დებიუტი შეიძლება ეწოდოს — იგი რეჟისორ იგორ შეშუკოვის პირველი სრულმეტრაჟიანი სურათია, ხოლო სცენარის ავტორ მაია ჩუმაკოვთვის კინომატიანეობაში პირველი დრამატურგიული ნამუშევარია.

ოპერატორია ვლადიმერ ჩუმაკი.

მთავარ როლებში ვიხილავთ ნიკოლაი გრინკოს, ოლეგ იანკოვსკის, ეანა ბროხორენკოს და სხვ. (ლენფილმი).

ბაკურიანი

დღეს გაიმართება მოთხილამურე ჟურნალისტთა XXIII საერთაშორისო შეხვედრის პირველი სტარტები

ბაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე პიონერთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 3 ტურის შემდეგ გუნდების მდგომარეობა ასეთია:

21 ქულით მტკიცედ ლიდერობენ თბილისელები. 19 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა სამხრეთ ოსეთის ნაკრებმა, მესამეზეა ცხაკაიას გუნდი (18,5 ქულა), მეოთხეზე — ქუთაისის ნაკრები (17). შემდეგ მოდიან აჭარისა (16,5 ქულა) და აფხაზეთის (16 ქულა) გუნდები. თბილისის გუნდს თუ არ გავითვალისწინებთ, განსხვავება დანარჩენი კოლექტივების მიერ მოგროვებულ ქულათა შორის უმნიშვნელოა — და დარჩენილმა ორმა ტურმა შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს.

„სპორტლოტო"

გაცნობებთ 19 თებერვალს გათამაშებული „შაბათის სპორტლოტოს" (36-დან 5) ტირაჟის შედეგებს.

პირველი ტირაჟი: 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 17 (ციგურები), 18 (მძლეოსნობა), 25 (ციგაობა), 15 (ძიუ-დო).

მეორე ტირაჟი: 18 (მძლეოსნობა), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 35 (ბალახის ჰოკეი), 14 (ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეთი), 21 (საიალქნო სპორტი).

ჰაკერაკი

რჩება 5 ტური

ხუთი ტურიდა რჩება არმიელთა საკავშირო პირველობის დამთავრებამდე, რომელიც ლენინგრადის ოფიცერთა სახლში მიმდინარეობს.

მერვე ტურში წააგო ლიდერმა, ოსტატმა იუფეროვმა (მინსკი) — ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატ ლანკასთან (რიგა). ამის მიუხედავად მას 8 თამაშიდან 5,5 ქულით მაინც პირველი ადგილი უკავია და იბრძვის ჩემპიონობისათვის.

მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი მეშვიდე ტურში დამარცხდა დიდოსტატ ვასიუკოვთან (მოსკოვი), მაგრამ მერვეში სძლია რუსეთის ფედერაციის ჩემპიონ ოსტატ ხასინს (ნოვოსიბირსკი). ამ ტურნირში მონაწილე 3 დიდოსტატთან შეხვედრაში გაფრინდაშვილმა 1,5 ქულა მოგროვა: გარდა ვასიუკოვთან შეხვედრისა, მოუგო ბელიავსკის და ყაიმით დასრულა პარტია ტუმაკოვთან.

დაწინაურდნენ თბილისელები

ბაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე პიონერთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 3 ტურის შემდეგ გუნდების მდგომარეობა ასეთია:

21 ქულით მტკიცედ ლიდერობენ თბილისელები. 19 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა სამხრეთ ოსეთის ნაკრებმა, მესამეზეა ცხაკაიას გუნდი (18,5 ქულა), მეოთხეზე — ქუთაისის ნაკრები (17). შემდეგ მოდიან აჭარისა (16,5 ქულა) და აფხაზეთის (16 ქულა) გუნდები. თბილისის გუნდს თუ არ გავითვალისწინებთ, განსხვავება დანარჩენი კოლექტივების მიერ მოგროვებულ ქულათა შორის უმნიშვნელოა — და დარჩენილმა ორმა ტურმა შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს.

ეკონომიკა

21 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული მხატვრული ფილმი „აურზაური სალხინეთში", 11.45 — „აშკარა — დაუჯერებელი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 17.50 — „ცეროდენსა ეკრანი", 18.20 — განცხადებები, 18.25 — „ვასტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა, 18.45 — „პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.05 — კინონარკვევი „სამი მონოლოგი". ფერადი გამოსახულებით, 19.25 — „მსოფლიოს ქალაქი მუზეუმები"— ათენი. ფერადი გამოსახულებით, 19.55 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „თბილისის საკონცერტო დარბაზებში", 22.00 — „პრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „შემთხვევა პოლინინის ცხოვრებაში" (ქართული ენაზე).

მეორე პროგრამით

17.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ულტრანატივა". ფერადი გამოსახულებით, 18.00 — მეცხრეკლასელთათვის — ალგებრა, 18.45 — კინონარკვევი „გამარჯობა, თეთრო გემო", 18.55 — სტუდენტთათვის — ფილოსოფია, 19.40 — მხატვრული ფილმი „სამთა სიყვარული", 20.50 — განცხადებები, 20.55 — დოკუმენტური ფილმი „პერედვიჟნიკები".

რადიო

21 თებერვალი

პირველი პროგრამით

08.00 — „გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — „ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ნ. მასკოვსკი. სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის, 11.45 — „მეცნიერები — მშენებლებს", 12.15 — „მღერის ლ. ლეშჩენკო", 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — მ. ბაჟანის ლექსები, 12.30 — გ. კილაძე. „ქართული სუიტა", 12.40 — „მეგინტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — „ეკრანის მელოდიები", 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — „გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ბელორუსული მუსიკა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა" ო. იოსელიანი — „ვარსკვლავთცვენა". რომანი", 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „დიდი სიცოცხლის ერთი დღე", 18.10 — ქართული კამერული მუსიკა, 18.45 — ბ. მოკრუსოვი. სიმღერები, 19.00 — „საყოფაცხოვრებო მომსახურება — მოთხოვნის დონეზე". რეიდის მასალები, 19.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 22.00 — ა. ბელიაშვილი. „მეხვედრა" — რადიოდადგმა, 23.30 — „მღერის დ. გამრეკელი".

თეატრი

20 თებერვალი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ერთაქტიანი ბალეტების საღამო (დღისით), **აიდა** (საღამოს); **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თავისუფალი თეატრი** (დღისით), **საბრალდებო დასკვნა** (საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იეთიმ გურჯი** (დღისით), **საბრალდებო დასკვნა** (საღამოს); **ვახტანგ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ნაცარქიქია** (დღისით), **მინიატურების სახელმწიფო — ზღვიერთის მზის დაბნელება საქართველოში.**

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

მედიცინა და ცხოვრება

ისპანეთი:

საფრთხე მოჩვენებითი თუ რეალური?

კოლეგრა, შავი ჭირი, „ისპანკა" — ხმა ავადმყოფობაა, რომლებიც მთელი ავადმყოფობისათვის სასიკვდილო საშიშროების სიმბოლო გახდა. თუმცა უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში ეს ინფექციები არ იდგა ჩვენი ჯანმრთელობის მტერთა „შავი სიის" სათავეში, წარსულში მათ მიერ გამოწვეული სასტიკი ეპიდემიები იმდენად მტკიცედ დარჩა ადამიანთა მეხსიერებაში, რომ ერთიულ დაავადებათა ყოველი მოხსენიებაც კი „საზოგადოებრივ შოკს" იწვევს. უკანასკნელ ხანს პლანეტის მცხოვრებთა შეშფოთება წარმოშვა გრიპის ვირუსის დაბრუნების „სიმპტომებმა", რომელიც 1919-1920 წლებში „ისპანკის" მიზეზი იყო. ამ ავადმყოფობამ შეიწირა 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე — მეტი, ვიდრე პირველმა მსოფლიო ომმა. გამართლებულია თუ არა შეშფოთება? მართლა ხომ არ ბრუნდება „წარსულის აჩრდილი"?

— არ შემიძლია ვამტკიცო, რომ „ისპანკის" ახალი შემოსვლის საფრთხე არ არსებობს, მაგრამ ამავე დროს მეეჭვება, რომ ეს უახლოეს ხანში მოხდეს, — განაცხადა სსრ კავშირის მთავარმა სახელმწიფო სანიტარულმა ექიმმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა 	რრ ბურბასოვმა უცხოელი და საბჭოთა ჟურნალისტებისათვის მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

ძნელი არ არის აეხსნათ, რომ ასეთი პოზიცია წინააღმდეგობრიობას შეიცავს. თუ „ისპანკა" მაროლაც გვიახლოვდება, საჭიროა სასწრაფოდ მივაწყოთ ახალი ვაქცინის წარმოება, რაც უდიდესი ძალებისა და სახსრების მობილიზაციას მოითხოვს. მაგრამ თუ საფრთხე მოჩვენებითია?

—ვფიქრობ, არც უნდა შევამციროთ „ისპანკის" საფრთხე, რადგან გვესმის, რომ პასუხისმგებლობა გვაკისრია მილიონობით ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, და არც უნდა გავაზვიადოთ იგი, — აღნიშნა პეტრე ბურგასოვმა. — მართლაც, 1976 წელს აშშ-ის ერთ-ერთ შტატში რეგისტრირებულ იქნა შემთხვევები დაავადებისა, რაც გამოწვეული იყო გრიპის ვირუსებით, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ „ისპანკის" გამომწვევს. არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ მათს სრულ იდენტურობაში — იმ დროს, როცა ეს ავადმყოფობა მძვინვარებდა, ვირუსების გამოყოფის მეთოდები კიდევ არ არსებობდა და ჩვენს ლაბორატორიულ მუზეუმებში „ისპანკის" გამომწვევი ვეი არ მოიპოვება. მაგრამ ჩვენ გვაქვს არაპირდაპირი მონაცემები, რომლებიც ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ 1919 წლის ეპიდემიის პერიოდში ვირუსი, რომელმაც „ისპანკა" გამოიწვია, ეპიზოოტიის — ღორების დაავადებათა მიზეზი გახდა.

„ღორის" ვირუსმა ჩვენს დრამდე მოაღწია. სწორედ მისი მსგავსი აღმორნდა იმ გრიპოზულ დაავადებათა გამომწვევი, რომლებიც შარშან ზაფხულში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა. ბუნებრივია, წარმოიშვა შიში, რომ შესაძლოა „ისპანკის" აღორძინება. ეს გვიკარნახებდა გულდასმით შეგვესწავლა ამ ვირუსის თავისებურებანი. ავადმყოფობის გაჩენის მოლოდინში დავამზადეთ შრატების ნაკრები

ისპანკა:

საფრთხე მოჩვენებითი თუ რეალური?

ვვეი არ მოიპოვება. მაგრამ ჩვენ გვაქვს არაპირდაპირი მონაცემები, რომლებიც ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ 1919 წლის ეპიდემიის პერიოდში ვირუსი, რომელმაც „ისპანკა" გამოიწვია, ეპიზოოტიის — ღორების დაავადებათა მიზეზი გახდა.

„ღორის" ვირუსმა ჩვენს დრამდე მოაღწია. სწორედ მისი მსგავსი აღმორნდა იმ გრიპოზულ დაავადებათა გამომწვევი, რომლებიც შარშან ზაფხულში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა. ბუნებრივია, წარმოიშვა შიში, რომ შესაძლოა „ისპანკ